# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 8 სექტემბერი 2008 №206 (3430) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## გამნაღმველები ექტორ რაულ კუპერსაც სჭირდება: საქართველოს ნაკრების კარში შენელებული მოქმედების ნაღმები!



**დაგვეწყო! გულის წასვლები, გოლის გასვლები...**

საქართველოს ნაკრების თამაშების მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

# ანალოგიური შემთხვევა



პირველი გოლი
ქართველთა კარში

მაინცი. 6 სექტემბერი. 20 საათი. ბრუხვეგშტადიონი. 14 000 მაყურებელი

## საქართველო 1:2 ირლანდია

0:1 დოილი (13), 0:2 ველანი (70), 1:2 ყენია (90)

| | |
|---|---|
| საქართველო: ლორია, უ. ლობჟანიძე, კალაძე, ხიზანიშვილი (ასათიანი 83), შაშიაშვილი, ოდიკაძე, მენთეშაშვილი, ყენია, კობიაშვილი, ალექსიძე (სირაძე 62), ა. იაშვილი (მჭედლიძე 78) სათადარიგონი: მაკარიძე; სალუქვაძე<br>მწვრთნელი: ჰექტორ რაულ კუპერი | ირლანდია: გივენი, ფინანი (მაკშეინი 79), ოში, დანი, კილბეინი, მაკგიდი (კოგი 87), ველანი, რიდი, ჰანტი, კინი, დოილი (მილერი 77) სათადარიგონი: კილი, ა. რიდი, დელენი, მერფი<br>მწვრთნელი: ჯოვანი ტრაპატონი |

გაფრთხილება: ხიზანიშვილი (26), ალექსიძე (53)

მსაჯები: ზ. საბო; რ. კიშპალი, ვ. ტოტი; მ. ფაბიანი (ყველა უნგრეთი)

დამკვირვებელი: ი. დუპანაუ (ბელარუსი); დელეგატი: ი. დამგაარდი (დანია)

## მარტო კუპერით ტრაპს ვერ გადაახტები

ერთი ბურთით წავაგეთ და ის „ზედმეტი" ბურთი „კურიოზული იყო", არ უნდა გაგვეშვა.

–უკვე სიმწრით გვეცინება ამ სიტყვებზე: გიორგი ლორიამ რომ გლენ ველანის 35 მეტრიდან დარტყმული ვერ შეიმაგრა, ეს ჩვეულებრივი ამბავია და სხვა ნებისმიერი ნაკრებისთვის ეს გოლი კურიოზული იქნებოდა, ჩვენთვის კი არამც და არამც. საქართველოს ნაკრების კარში გატანილ ასეთ გოლებს მოულოდნელობად აღარ ვთვლით — ალბათ ის უფრო გასაკვირი იქნებოდა, ლორიას შორიდან ხუთი დარტყმულიდან ერთიც რომ არ გაეშვა.

მოკლედ, ამას უნდა მივეჩვიოთ: 30-35 მეტრიდან თუ ბურთი კარის ჩარჩოში წავა, ეს იგივე პენალტია. ბოლო-ბოლო, 20 აგვისტოს უელსური მატჩი გავიხსენოთ...

კიდევ იმას უნდა მივეჩვიოთ, რომ თუ მეტოქემ ირბინა, წავაგებთ. დღეს დამდგარი ფეხბურთით თამაშის მოგება მხოლოდ ფარერებთან თუ სან მარინოსთან შეიძლება. ტემპში თუ ვერ გაუძლებ, ინდივიდუალურად ათჯერ მაღლა უნდა იდგე, რომ გაიმარჯვო, საქართველოს კი ირლანდიაზე ძლიერი ფეხბურთელები ნამდვილად არ ჰყავს.

მაშ, რაღა დარჩა, რისი იმედი უნდა გვქონოდა?! ალბათ, ისევ და ისევ მონდომების და როგორც გამოჩნდა, ცალკეულად ერთი-ორი ფეხბურთელის გაბრწყინებისა.

მაგრამ კლასი ტემპს მიაქვს: დღეს ლეონიდასისა და გილერმო სტაბილეს პერიოდი არაა, როცა სივრცე გეშლებოდა და ბურთის ტარებას არ გიშლიდნენ. ხომ ნახეთ, როგორც კი ლევან ყენია ბურთს მიიღებდა, ორი ან სამი ირლანდიელი წამსვე მასთან ჩნდებოდა.

ბრიტანელები მკვირცხლად თამაშობდნენ, ყველანაირ ელემენტს იყენებდნენ, განსაკუთრებით ფლანგებიდან გაილალეს და ორ-სამ წუთიან მონაკვეთებს თუ არ ჩავთვლით, მთელი თამაში პირველ ნომრებად იყვნენ.

ჯოვანი ტრაპატონის მშვენივრად გაურჩევია ქართველთა სათამაშო მანერა — ჩვენსავე ნახევარზე პრესინგი დააწესა, საქართველოს ნაკრები კი ამას ვერ ეგუება, იბნევა და აკი, ასე გაუშვა პირველი გოლი. მე-13 წუთზე ჩვენებმა ბურთი ვერ გამოიტანეს მარცხენა ფლანგიდან, რობი კინმა ფეხებში მოიგდო და ეიდენ მაკგიდს გააყოლა, ვინაც საჯარიმოში ჩაჰკიდა და იქ კევინ დოილს თავურში ხელი ვერავინ შეუშლიდა — 1:0.

ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ ქართველთა დაცვა ვერ გაერკვა, ლორიაც რაღაც უცნაურად გამოვიდა ბურთზე.

აქ ჩამოჰკრა შიშის ზარმა, ჩვენები შეტევაზე უნდა გადასულიყვნენ, მაგრამ ვინ მისცა საშუალება... წვალებ-წვალებით მიდიოდნენ ქართველები ირლანდიელთა საჯარიმომდე, ისევ ყენია და ალექსანდრე იაშვილი თუ გაამწვავებდნენ ხანდახან თამაშს, დანარჩენები ვერანაირ საფრთხეს ვერ უქმნიდნენ ნომინალური სტუმრების დაცვას.

პირველ ტაიმში მხოლოდ ერთხელ აფორიაქდა „კელტთა" მეკარე შეი გივენი, როცა ნაკუთხურალ ბურთს იაშვილმა შეუშვირა თავი. სამწუხაროდ, კარს გადასცდა. აქეთ კი ლორიამ სტივენ რიდის გასროლილი პენალტის ნიშნულთან მოიგერია, დოილსაც აუღო.

სხვა თამაშს ველოდით მეორე ტაიმში და ოდნავ გამოსწორდა კიდეც სიტუაცია, უფრო თამამად იყვნენ ჩვენები. მაკგიდმა და სტივენ ჰანტმაც მოუკლეს ფლანგზე ნავარდს...

და ამ დროს ლორიამ გაგვახსენა, რომ საქართველოს ნაკრების თამაშს ვუყურებდით — აბა, მეკარის უხეში შეცდომის გარეშე როგორ იქნებოდა...

ჰო, მანამდე კახა კალაძემაც „იყოჩაღა", როცა კინი ლორიას პირისპირ შეატოვა: ლივერპულელი მეკარეს გასცდა და ცარიელი კარის ძელს მოარტყა.

მეორე გოლმა ყველაფერი ცხადი გახადა, კუპერს ვერც შეცვლებმა არგო რამე და ის გოლი, რომელიც ყენიამ შეაგდო, ძალიან დაგვიანებული გამოდგა: ლევან მჭედლიძის პასით შეიჭრა საჯარიმოში და ათიოდ მეტრიდან გივენისგან დაუცველ კუთხეში შეაგდო...

ძალიან ცუდია, როცა მუნდიალზე გასვლის ამბიცია გაქვს და ციკლს ერთ-ერთ მთავარ კონკურენტთან „საშინაო" მარცხით იწყებ.

უკვე ბევრი კითხვა დაგროვდა, რომელზეც კუპერმა უნდა გვიპასუხოს:

1. რა ეფექტის იმედი უნდა ჰქონოდა რატი ალექსიძის მაღალი ბურთებით მომარაგებას, როცა ირლანდიელები მეორე სართულზე „მგლებივით" არიან?
2. ნუთუ ასე საშინლად გამოიყურება ვარჯიშებზე რონ კვასხვაძე რომ მისი კარში დაყენება არ შეიძლება?
3. რა იყო დავით კვირკველიას უთამაშებლობის მიზეზი?
4. და ბოლოს, ამაზე სწრაფ ტემპში საქართველოს ნაკრებს თამაში არ შეუძლია? და თუ არ შეუძლია, ვიყოთ ასე ჩამორჩენილი ვაგონივით — სხვებმა ირბინონ და ჩვენ ვუყუროთ...

**ილია ნანობაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ირლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ბულგარეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ჩერნოგორია | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| საქართველო | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| კვიპროსი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |

10 სექტემბერი

იტალია — საქართველო

ჩერნოგორია — ირლანდია






ქართულ-ირლანდიურ-გერმანული თამაშამდელი პროტესტი



6 სექტემბერს ახალი შესარჩევი ციკლი დაიწყო საქართველოს ნაკრებმა. ჩვენს ქვეყანაში შექმნილი ვითარების გამო უეფამ მატჩი თბილისის ნაცვლად გერმანულ მაინცში გადაიტანა და პირობითმა მასპინძლებმა ახალი თავკაცის, არგენტინელი ექტორ რაულ კუპერის ხელში პირველივე ოფიციალური მატჩი წააგეს. როგორც აქამდე, ახლაც ბავშვური შეცდომებით... საქართველოს ნაკრებს 10 სექტემბერს უდინეში იტალიის ნაკრებთან ელის მატჩი. ქართველები მაინციდან უკვე ჩავიდნენ იტალიაში და გუშინ ზურაბ მენთეშაშვილს იქ დავუკავშირდით. რა თქმა უნდა, საუბარი ირლანდიასთან მატჩით დავიწყეთ...

# პირველი გოლი ჩემი ბრალი იყო

— ძალიან საწყენია, რომ შესარჩევი ციკლი ისევ ცუდად დავიწყეთ. არადა, შეიძლებოდა, ქულა მაინც აგველო.

— პირველ ნახევარში აშკარად გჯობდათ მეტოქე, მეორეში კი ოდნავ გამოასწორეთ თამაში...

— პირველი 20 წუთი მართლა ჩაგვივარდა და ირლანდიამაც ეს გამოიყენა.

— პირველ გაშვებულ გოლზე რას იტყვი?

— რა უნდა ვთქვა... ჩემი ბრალი იყო, იქ ბურთის დაკარგვა არ შეიძლებოდა. უნდა ამომეტანა და გოლსაც ავირიდებდით.

— თუმცა შენი დაკარგული ბურთის შემდეგაც მცველები და მეკარე შეცდნენ...

— ჰო, მაგრამ ფაქტია, რომ ჩემს დაკარგულ ბურთს მოჰყვა გოლი.

— ძალიან თვალში საცემი იყო, რომ ირლანდია საქართველოს ნაკრებზე სწრაფად თამაშობდა და მეტს მოძრაობდა...

— გეთანხმებით, მაგრამ მაინც ვთვლი, რომ ქულის აღება შეიძლებოდა.

— მეორე გოლმა ალბათ ყველა შოკში ჩაგაგდოთ...

— ბოდიშს გიხდით, მაგრამ ამ თემაზე ველარ ვილაპარაკებ.

— ნამატჩევს რა გითხრათ კუპერმა?

— გაწბილებული ჩანდა. ძალიან დასანანი გოლები გავუშვით და კაცი გამშრალი იყო.

— რამდენიმე დღეში კი იტალიას ხვდებით...

— ტრავმა არავის აწუხებს და ყველა მაქსიმალურად ვართ მობილიზებული. ძალიან მძიმე მატჩი გველის და ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ.

**ნუკრი ლოლაძე**

# ლორიას შეცდომა ადამიანური ტრაგედიაა

„**მთლიანობაში** გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ. პირველი 15 წუთი ძალიან ცუდი იყო, მაგრამ შემდეგ გუნდმა თამაში გამოასწორა. მეორე ტაიმიც უკეთესი გამოვიდა. სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია...

...რა თქმა უნდა, უკეთესი იქნებოდა, ეს შეხვედრა თბილისში ჩაგვეტარებინა. ეს მთელ გუნდს მეტ სტიმულს მისცემდა...

...ლევან ყენიას გოლმა თავდაჯერება შესძინა ფეხბურთელებს. მართალია, წავაგეთ თამაში, რომელიც შეგვეძლო, არ წაგვეგო, მაგრამ ამით არაფერი მთავრდება. ჩვენს ნაკრებს ყველაფერი წინ აქვს“ — განაცხადა ნამატჩევ პრესკონფერენციაზე საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ექტორ რაულ კუპერმა.



კუპერს მეკარის პრობლემაზეც ჰკითხეს ჟურნალისტებმა და არგენტინელი მწვრთნელის პასუხი ასეთი იყო: „ცოტა უფრო ჰუმანურად უნდა მივუდგეთ ამ საკითხს. ის, რაც ლორიას მოუვიდა, ადამიანური ტრაგედიაა. ეს არც პირველი შემთხვევაა და არც უკანასკნელი, რაც ფეხბურთში მომხდარა. ამის გამო ადამიანის მორალურად დასამარება მიზანშეწონილი არ არის. ბევრი უნდა ვიმუშაოთ, რათა მსგავსი რაღაცები აღარ მოხდეს“.

**ქახა შალამბერიძე**

# ჩემი გუნდი ბედნიერია



**ირლანდიის** ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ჯოვანი ტრაპატონი საქართველოსთან მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში თავისი გუნდის თამაშით კმაყოფილი დარჩა.

„გამარჯვება მძიმე ბრძოლაში მოვიპოვეთ. ვფიქრობ, 10 სექტემბერს ჩერნოგორიასთან მატჩში გუნდს ამხელა სამუშაო აღარ ექნება. მოხარული ვარ იმით, რომ ჩემმა მოთამაშეებმა ხასიათის სიმტკიცე გამოიჩინეს და საჭირო შედეგის მოსაპოვებლად ყველამ მონდომებულად ითამაშა. ახლა ისინი ბედნიერები არიან, რადგან საკუთარი თავის რწმენა გაუჩნდათ. ჯერ შანსებზე საუბარი ძნელია, მაგრამ ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლას ვისახავთ მიზნად“ — განაცხადა ტრაპატონიმ მაინცური მატჩის შემდეგ.

**ქახა შალამბერიძე**

## ჩვენი მეტოქეები

# ბოლო წუთის პლუს-მინუსი

**ჩერნოგორია 2:2 ბულგარეთი**

0:1 ს. პეტროვი (11), 1:1 ვუჩინიჩი (62), 2:1 იოვეტიჩი (81პ), 2:2 გეორგიევი (90)

**ჩერნოგორია:** ოლეკსიჩი, ბოჟოვიჩი, პავიჩევიჩი, ბატაკი, ტანასიევიჩი, იოვეტიჩი, ბოგავაცი (ვუკჩევიჩი 53), პეკოვიჩი, დრინჩიჩი, ბოშკოვიჩი (ბურზანოვიჩი 83), ვუჩინიჩი (იალოვიჩი 85)

**ბულგარეთი:** ივანკოვი, ტუნჩევი, ილიევი, ანგელოვი, მილანოვი (ტომაშიჩი 48), გენჩევი (გეორგიევი 67), დიმიტროვი, პოპოვი (იანკოვი 40), ს. პეტროვი, ლაზაროვი, ბერბატოვი

**შეცვლაზე** შესული ბლაგოია გეორგიევის ბოლო წამებზე გატანილმა ბურთმა ჯგუფში სამი ერთნაირი ანგარიში აღარ დააფიქსირა, ხოლო ათკაციან ბულგარეთს პირველი ქულა არგუნა ჩერნოგორიასთან გასვლით მატჩში.

მატჩი მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო, თუმც მოულოდნელად ბურთი საკუთარ კარში მიიღეს — სტილიან პეტროვი მცველებს გაექცა და ვუკაშინ ოლეკსიჩს აუღელვებლად გაუტანა.

ამ გოლმა ხელ-ფეხი სტუმრებსაც გაუხსნა და დიმიტარ ბერბატოვს მეორეს გატანაც შეეძლო, მაგრამ ამჯერად ოლეკსიჩმა იყოჩაღა.

პირველ ტაიმში ჩერნოგორიაც არ იყო უქმად და ნიკოლა დრინჩიჩის დარტყმული დიმიტარ ივანკოვმა გაჭირვებით მოიგერია.

შესარჩევი ეტაპის დებიუტანტებს, ცხადია, მარცხით დაწყება არ სურდათ და მეორე ტაიმში გაორმაგებული ენერგიით შეუტიეს, მალე დაწინაურდნენ კიდეც — ჯერ მირკო ვუჩინიჩმა არ დაუტოვა შანსი ბულგარელთა მეკარეს საჯარიმო დარტყმით, შემდეგ კი სტეფან იოვეტიჩმა პენალტით. პენალტისას ბულგარელებს სტანისლავ ანგელოვიც გაუგდეს, თუმც ბოლოს რაც მოხდა, უკვე ვთქვით...

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# დაუმსახურებლად დამსახურებული

**კვიპროსი 1:2 იტალია**

0:1 დი ნატალე (8), 1:1 ანოლეფტისი (28), 1:2 დი ნატალე (90)

**კვიპროსი:** გეორგალიდისი, ხრისტუ, ხარალამბუსი, ნიკოლაუ, ალონეფტისი, გარპოზისი, ოკასი (პავლუ 72), ხარალამბიდისი, კონსტანტინუ (კრისტოფი 63), მაკრიდისი, მიხაელი (იასუმისი 72)

**იტალია:** ბუფონი, ძამბროტა, კანავარო, გამბერინი (ბარძალი 4), გროსო (კასეტი 18), კამორანეზი, დე როსი, პირლო, დი ნატალე, ჯილარდინო, ტონი (გატუზო 46)

**მარჩელო ლიპის** დაბრუნება იტალიის ნაკრების მწვრთნელად შთამბეჭდავი ვერ გამოდგა. რომ არა ანტონიო დი ნატალეს 90-ე წუთზე გატანილი გოლი, „სკუადრა აძურა“ კუნძულელებთან 2 ქულას დაკარგავდა...

მართალია, მატჩი იმავ დი ნატალეს სწრაფი გოლით დაიწყო, მაგრამ მასპინძლებმა მთელი ძალებით შეუტიეს მეტოქეს და მომენტს მომენტზე ქმნიდნენ. გასაკვირიც არ არის, 28-ე წუთზე ანგარიში რომ გაათანაბრეს — კონსტანტინოს ხარალამბიდისმა კარში დაარტყა, ჯანლუიჯი ბუფონის მოგერიებულს კი სტასის ალონეფტისმა დაამატა.

კუნძულელები ტაიმის ბოლომდე ფლობდნენ უპირატესობას, თუმცა მეტი ვერ მოახერხეს.

მეორე ტაიმში გოლის გატანა ალბერტო ჯილარდინოს შეეძლო, თუმც გამარჯვებასთან უფრო ახლოს მაინც მასპინძლები იყვნენ — ჯერ დიმიტრის კრისტოფმა ვერ გამოიყენა მეკარესთან პირისპირ გასვლა, ბოლო წუთებზე კი ელიას ხარალამბუსმა ორჯერ არაზუსტად დაარტყა ხელსაყრელი პოზიციიდან და მასპინძლები დაისაჯნენ კიდეც — ჯილარდინომ ქუსლით შესანიშნავი პასი გაუკეთა მაურო კამორანეზის, რომელმაც არანაკლებ ეფექტურად დი ნატალე მოძებნა და „აძურიმ“ პირველი სამი ქულაც მიითვალა.

*მარჩელო ლიპი, იტალიის ნაკრების მწვრთნელი:* „ფაქტია, იმაზე მეტი მივიღეთ, რაც გვეკუთვნოდა. მატჩი ჩვენთვის ორი ტრავმით დაიწყო, ცუდადაც ვითამაშეთ, მეტოქეს ბურთის კონტროლის საშუალება მივეცით. გავრისკე, როდესაც მესამე შეცვლა შესვენებაზე გავაკეთე, მაგრამ გუნდის თამაში უნდა დამებალანსებინა. არ არსებობს გუნდი, რომელიც უბრძოლველად დაგითმობს მოგებას. ამასთან გუნდის ფიზიკური კონდიციები იდეალურისგან შორს არის. გაგვიმართლა, რომ სამი ქულა ავიღეთ“.

*ანგელოს ანასტასიადისი, კვიპროსის ნაკრების მწვრთნელი:* „ვწუხვარ, რადგან უკეთესი შედეგის მიღება შეგვეძლო. ეს ფეხბურთია და დღეს არ გაგვიმართლა. გვქონდა შანსი, ქულები აგველო, მაგრამ... შეცდომები უნდა გავაანალიზოთ, რათა მომავალში არ გავიმეოროთ“.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ტრავმატული იტალია

**იტალიამ** დიდი გაჭირვებით და ორი ფეხბურთელის დაკარგვით მოიპოვა სამი ქულა კვიპროსის ნაკრებთან. 10 სექტემბერს საქართველოსთან მატჩისას იტალიელებს მცველები, ალესანდრო გამბერინი და ფაბიო გროსო დააკლდებათ.

გამბერინის კვიპროსთან მატჩის პირველივე წუთზე მხარი ამოუვარდა, ხოლო გროსოს მე-15 წუთზე ნეკნები გაუტყდა.

მათ გარდა იტალიელებს ნიკოლა ლეგროტალიე, ალბერტო აკვილანი, ჯორჯო კიელინი და ალექს დელ პიერო ჰყავთ დაშავებული.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# მალხაზ ასათიანი ნაკრებს დაშორდა



მალხაზ ასათიანი ნაკრებს იტალიაში აღარ გაჰყვა

**საქართველოს** ეროვნული ნაკრები გერმანიიდან იტალიაში ჩავიდა და ქალაქ უდინეს სასტუმრო „მორეტში“ დაბინავდა.

სიახლეა ის, რომ ნაკრებს იტალიაში ერთი ფეხბურთელი გამოაკლდა — მალხაზ ასათიანი მაინციდან კიევში გაფრინდა.

კიევის „დინამო“ ჩემპიონთა ლიგის მოახლოებული მატჩებისთვის ემზადება და, ცხადია, სურს, რომ ვარჯიშებში ქართველმა ახალწვეულმაც მიიღოს მონაწილეობა. ასათიანმაც ნაკრების თავკაც ექტორ რაულ კუპერს ეს ყველაფერი ამცნო და როცა მისგან თანხმობა მიიღო, კიევში გაფრინდა.

შეგახსენებთ, რომ ასათიანი კუპერმა ირლანდიასთან მატჩში ოდენ ბოლო შვიდი წუთი ათამაშა.

**ქახა შალამბერიძე**

## geo_geo_fan@hotmail.com

# მეკარე...

**DATO.TSS:** „სარბიელს“ გაუმარჯოს.

ის, რაც ახალგაზრდულმა ნაკრებმა გააკეთა, უნამუსობაა და მეტი არაფერი. პირველი ტაიმის შემდეგ თამაშისთვის აღარ მიყურებია, იმდენად ამაზრზენად თამაშობდა გუნდი, თან ვისთან, რუსეთთან, პირიქით რომ უნდა ყოფილიყო. თამაშისწინა კომენტარები ისეთ განწყობას ქმნიდა, რომ სულმოუთქმელად ველოდი რუსების განადგურებას, თუმცა... უფრო გამაღიზიანებელი კი მწვრთნელის თამაშისშემდგომი კომენტარი იყო.

რა თქმა უნდა, წაგებას მიზეზები ხომ უნდა ჰქონოდა და მათი მოძებნაც არ გაძნელებულა...

ყველაზე საშინლად რომ სწორედ რუსეთთან თამაშობ, თანაც ამ სიტუაციაში, მეტისმეტად გულდასაწყვეტია. იმ ბიჭებს, ვინც იმ დროს მოედანზე იმყოფებოდნენ, ოდნავადაც არ ეტყობოდათ, რომ თანამემამულეთა გახარებას ეშურებოდნენ მტრული სახელმწიფოს საფეხბურთო ნაკრებზე გამარჯვებით. შევადაროთ ქართველი ოლიმპიელები, მათ იმ დროს მოიგეს ოქროს მედლები, როცა ქვეყანა იბომბებოდა, ახლა სიტუაცია ასე თუ ისე დაწყნარებული მაინც იყო. აქ არ არის საუბარი პირობებზე, ან მწვრთნელზე... აქ ფეხბურთელებზეა საუბარი, რომლებსაც ნაკლებად აწუხებდათ ის პრობლემა, თუ ვის ეთამაშებოდნენ. უსასრულოდ შეიძლება ლაპარაკი, მაგრამ რა აზრი აქვს, როცა საშუალება გაქვს, რომ შენს ქვეყანას უმძიმეს მდგომარეობაში მცირე სიხარული მაინც მიანიჭო და ამას უპასუხისმგებლოდ ეკიდები და მეტიც, უნამუსო ხარ და მეტი არაფერი.

**KAKICH:** მეკარე...

# სპარტაკის მორიგი ტესტი

**საქართველოს** ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგა მალე დაიწყება. მანამდე კი ცხინვალის „სპარტაკმა“ კიდევ ერთი ტესტ-მატჩი გამართა — ცხინვალელები „ნორჩ დინამოელს“ გაეჯიბრნენ და 6:0 მიანგრიეს.

ჰეთ თრიქი შეასრულა ბესო ოსეფაშვილმა, თითოჯერ კი გოლით გიორგი თექთუმანიძე, კობა შალამბერიძე და ირაკლი სირბილაძე გამოირჩნენ.

„სპარტაკის“ შემადგენლობა ასეთი იყო: *ქვილითაია, მამუკაშვილი, კუპრეიშვილი, ხაჭიპერაძე, ჯანგიძე, კ. შალამბერიძე (ბაგაშვილი 70), გოგოხია, თექთუმანიძე (მაისურაძე 46), ლ. დათუნაშვილი, გ. ხიდეშელი, ი. სირბილაძე (ოსეფაშვილი 60).*

**ნუკრი ლოლაძე**

# თეთრაძემ ანჟი დატოვა

**რუსეთის** პირველ დივიზიონში მოთამაშე მახაჩყალის „ანჟიმ“ მორიგი მარცხი განიცადა ბელგოროდის „სალიუტ-ენერგიასთან“ (0:1) და პრემიერლიგაში გადასვლის შანსი შეამცირა. ეს ფაქტი კი მთავარ მწვრთნელ ომარ თეთრაძის გადადგომის მიზეზი გახდა.

„გუნდს სხვა მწვრთნელი სჭირდება, რათა დასახული მიზანი შეასრულოს. ამის თაობაზე ფეხბურთელებს გასახდელშივე განვუცხადე“ — აღნიშნა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ომარ თეთრაძემ.

„სალიუტ-ენერგიასთან“ მატჩში კი ქართველთაგან სრულად ვალერი აბრამიძემ და გოჩა ხოჯავამ ითამაშეს, მიხეილ აშვეთია მოედანზე 58-ე წუთზე შევიდა რევაზ ჯიქიას ნაცვლად. ზურაბ არზიანს არ უთამაშია, რევაზ ბარაბაძე დაშავებულია, გიორგი ნავალოვსკი კი საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშია გამოძახებული.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# რუსეთია საქართველოს საუკუნოვანი მეგობარი?

**5 სექტემბერს** მინსკის „ტრაქტორის“ მინდორზე 90 წუთის განმავლობაში რაც ხდებოდა, ქართველმა გულშემატკივარმა ნახა და უარესი არც ენახოს. ეს არ იყო ის თამაში, რომელიც შეფასებას საჭიროებს — საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები პირწმინდად დაიჩაგრა რუსი თანატოლებისგან და რაც მალე ამოგვივარდება ეს ანგარიში გონებიდან, მით უკეთესი, გახსენებაც არ გვინდა...

მაგრამ საინტერესოა, რა ხდებოდა ამ დროს „ტრაქტორის“ ტრიბუნებზე, სადაც 14 ათასამდე გულშემატკივარი იჯდა — ვინ რუსი, ვინ ქართველი, ვინ ბელარუსი... ცხადია, ჩვენები უმცირესობას წარმოადგენდნენ, ბელარუსში ხომ ქართული დიასპორა მცირერიცხოვანია...

არა, საბედნიეროდ, ექსცესები არ მომხდარა, მაგრამ რამდენიმე ფაქტი აღსანიშნავია — ის, რაც ბელარუსულმა და რუსულმა პრესამ გაავრცელეს კიდეც.

ერთ-ერთი ბელარუსული ვებგვერდის ცნობით, ადგილობრივ გულშემატკივართა ჯგუფი ქართველი ქომაგების სექტორში არ შეუშვეს. ისინი სპეცნაზს ეუბნებოდნენ, ჩვენ ქართველისკენ ვართ და უფლება გვაქვს, რომ მათთან ერთად ვიყოთო, თუმც მტკიცე უარი მიიღეს.

საქმე ისაა, რომ ბელარუსული ელიტის გარკვეული ნაწილი რუსეთ-საქართველოს ომში ხმამაღლა უჭერდა მხარს ჩვენს ქვეყანას. მათ ხუთჯვრიანი დროშებიც დაურიგეს მინსკის ერთ-ერთი სკოლის მოსწავლეებს, მატჩის დაწყებამდე სწორედ მათი დამზადებული საქართველოს სამი დიდი დროშა ფრიალებდა „ტრაქტორის“ ტრიბუნებზე.

უნდა ითქვას, რომ ბელარუსის ახალგაზრდული მოძრაობის პარტიამ დიდად იაქტიურა ამ მატჩის წინ. მინსკის სკოლების ხელმძღვანელებმა სამივე ქვეყნის დროშები (თავიანთი, რუსეთის და საქართველოს) დაურიგეს ადგილობრივ ბავშვებს და როდესაც პირველი ტაიმის მერე ეს ბავშვები სტადიონიდან მიდიოდნენ, მათ სთხოვეს, დარჩენილიყვნენ და დროშები ეფრიალებინათ — ამას უკვე რუსული „გაზეტა“ წერს.

ამ ახალგაზრდული პარტიის ხელმძღვანელებმა დაამზადეს პლაკატებიც წარწერით: „რუსებო და ქართველებო, ხიშტები მიწაზე!“; „რუსეთი-საქართველო — საუკუნოვანი მეგობრები!“; „NO WAR!“... ერთი წარწერის არსი კი გაუგებარი დარჩა, კერძოდ — „ჩვენ თქვენთან ვართ, ჩვენ ძალა ვართ!“

ბელარუსის ნაწილი რომ კონფლიქტში საქართველოს უჭერს მხარს, ეს ძალიან კარგია. კარგი იყო ომის საწინააღმდეგო პლაკატებიც (ოღონდ, საუკუნოვანი მეგობრობა ნამეტანი მოუვიდათ), მაგრამ ზოგიერთი ბავშვი თურმე არ უჯერებდა ხელმძღვანელებს: რუსები წერენ, 10 წლის ბავშვი ხმამაღლა იძახოდა „ვპირიოდ, რასსია“-ს და როცა მას ასაკოვანმა ქალმა საქართველოს დროშა მისცა ხელში, ბავშვმა უკან მიუბრუნაო.

და კიდევ, გეცოდინებათ, მატჩი 18 საათზე იყო დანიშნული, თუმც როდესაც უეფამ მოსკოვიდან ნეიტრალურ მინდორზე გადაიტანა, დაწყების დროც შეიცვალა — ერთი საათით ადრე.

მიზეზი? ექსცესები რომ მომხდარიყო, სპეცნაზი დღის სინათლეზე უკეთ დაიცავდა უსაფრთხოებასო...

**ილია ნანობაშვილი**

## საქართველოს 20 ჩემპიონატი

### პირველი ლიგა. I წრე. 1 ტური

**ამერი 2:0 კახეთი**

1:0 ქებაძე (43), 2:0 ჩიმაკაძე (45)

**ამერი:** ლ. ნადირაშვილი, გვაძაბია, ელბაქიძე, ხატიაშვილი, კაკაბაძე, ხუციძე, ტიკურიშვილი (ლაფერაშვილი 46), სანიკიძე, ბენდელიანი, ჩიმაკაძე (ბოჯგუა 67), ნ. ქებაძე (ჯინიკაშვილი 75)

*სათადარიგონი:* გვენცაძე, ადეიშვილი, გ. ჯელაძე

**მწვრთნელი:** გიორგი ჩიხრაძე

**კახეთი:** ქუფარაშვილი, მ. ხიდეშელი, ტარულაშვილი, მურველაშვილი, შავაძე, გენგაშვილი (დეკანოზიშვილი 88), კობაიძე, მელიქიშვილი, ლ. გიგაური (ი. ხუციშვილი 73), ბიძინაშვილი, ლ. ტეტიაშვილი (ახალბედაშვილი 88)

*სათადარიგონი:* კობრიაშვილი, ბ. მჭედლიშვილი

**მწვრთნელი:** გივი კობაიძე

**მსაჯები:** ვ. გუმბერიძე, მ. ელიკაშვილი, ო. მოლოდინაშვილი, ლ. სილაგავა

**დამკვირვებელი:** ი. ოქროშიძე

# ამერმა მოგებით დაიწყო

**გუშინ** პირველი ლიგის გათამაშება დაიწყო და აღმოსავლეთ ზონის სამი მატჩი გაიმართა.

„ამერმა“ შინ 2:0 მოუგო თელავის „კახეთს“.

ამერელებმა თავიდანვე შეუტიეს სტუმართა კარს, მაგრამ ბევრი ვერაფერი დააკლეს. მომენტები კი იქმნებოდა, თუმც გოლი არ ჩანდა.

ტაიმის მიწურულს კი ნავსი გატყდა — ჯერ ნოდარ ქებაძემ იხეირა, ორ წუთში ბესიკ ჩიმაკაძემაც გამოიჩინა თავი.

„ამერს“ მეორე ტაიმშიც შეეძლო გოლების გატანა, მაგრამ მომენტები ქარს გააყოლა...

**ქახა შალამბერიძე**



ნოდარ ქებაძემ მცველის და მეკარის შეუთანხმებლობით ისარგებლა

**აღმოსავლეთი**

7 სექტემბერი

ნორჩი დინამო 1:1 დინამო 2

გაგრა 2 2:3 სიონი 2

8 სექტემბერი

ვიტ ჯორჯია 2 — ჩიხურა

თბილისი — დილა

ლაგოდეხის „ჰერეთი“ ისვენებს

**დასავლეთი**

8 სექტემბერი

სამტრედია — კოლხეთი

ჭიათურა — გურია

ბაია — მეშახტე

ზესტაფონი 2 — ბათუმი

ხობი — ტორპედო 2008

მარტვილის „მერანი“ ისვენებს



ეროვნული ბიბლიოთეკა



გაგდი კოთილაძის ფოტო

ვიქტორ სანიკიძე ორმაგი დუბლით გამოირჩა

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B დივიზიონი. I წრე. 6 სექტემბერი. ლუქსემბურგი

## ლუქსემბურგი 65:98 საქართველო

13:24 20:28 18:24 14:22

### ლუქსემბურგი

| | წთ | 2ქ | 3ქ | საჯ. | მოხ. | პას. | ჩაჭ. | დაფ. | ფოლ. | დაკ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ლორენ შვარცი | 25 | 2-4 | 1-3 | 0-0 | 2 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 | 7 |
| ჟაირო ფერეირა | 24 | 1-1 | 1-4 | 0-0 | 1 | 1 | 1 | 0 | 1 | 2 | 5 |
| ბობ კიფერი | 18 | 0-2 | 1-4 | 0-2 | 1 | 2 | 1 | 0 | 3 | 1 | 3 |
| პეტერ რაინიაკი | 28 | 4-8 | 0-4 | 0-0 | 2 | 1 | 2 | 0 | 5 | 0 | 8 |
| მარტინ რაინიაკი | 33 | 6-10 | 0-4 | 1-2 | 5 | 1 | 1 | 0 | 2 | 4 | 13 |
| ტომ შუმახერი | 21 | 1-3 | 2-6 | 0-0 | 0 | 2 | 0 | 0 | 1 | 2 | 8 |
| რაულ ბირენბაუმი | 9 | 0-1 | 2-3 | 0-0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 6 |
| პიტ კოსტერი | 13 | 1-3 | 0-0 | 1-2 | 2 | 0 | 0 | 0 | 3 | 2 | 3 |
| ტიერი აბდიუ | 14 | 0-2 | 2-3 | 0-0 | 3 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 6 |
| ფრანკ მიულერი | 15 | 3-4 | 0-1 | 0-0 | 2 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 6 |
| სულ | 200 | 18-38 | 9-32 | 2-6 | 19 | 8 | 7 | 0 | 20 | 11 | 65 |

### საქართველო

| | წთ | 2ქ | 3ქ | საჯ | მოხ | პას | ჩაჭ | დაფ | ფოლ | დაკ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გიორგი ცინცაძე | 31 | 3-3 | 0-1 | 4-4 | 1 | 2 | 1 | 0 | 3 | 3 | 10 |
| ტაირონ ელისი | 31 | 3-3 | 5-10 | 3-3 | 2 | 3 | 2 | 1 | 0 | 4 | 24 |
| ვიქტორ სანიკიძე | 29 | 7-9 | 0-1 | 6-7 | 12 | 2 | 0 | 0 | 1 | 0 | 20 |
| ნიკა ცქიტიშვილი | 24 | 4-9 | 1-2 | 0-2 | 6 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 11 |
| ზაზა ფაჩულია | 29 | 4-7 | 0-0 | 3-5 | 8 | 3 | 0 | 0 | 1 | 5 | 11 |
| გიორგი გამყრელიძე | 13 | 1-2 | 0-1 | 1-2 | 2 | 0 | 1 | 0 | 2 | 0 | 3 |
| ვლადიმერ ბოისა | 18 | 2-3 | 0-2 | 2-2 | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 6 |
| ანატოლი ბოისა | 9 | 0-0 | 1-2 | 0-0 | 2 | 1 | 0 | 0 | 2 | 1 | 3 |
| გიორგი შერმადინი | 9 | 3-3 | 0-0 | 1-2 | 2 | 0 | 1 | 0 | 1 | 2 | 7 |
| კოტე ტუღუში | 6 | 1-1 | 0-1 | 0-0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 |
| თორნიკე შენგელია | 2 | 0-0 | 0-0 | 1-3 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1 |
| სულ | 200 | 28-40 | 7-20 | 21-30 | 42 | 11 | 6 | 2 | 11 | 16 | 98 |

# დაგეგმილი პირველი კოკოშკოვის საქართველომ ლუქსემბურგით დაიწყო

**ნამდვილად** არ იყო მოულოდნელი ის შედეგი, რომელითაც შაბათ საღამოს ლუქსემბურგში ადგილობრივი და საქართველოს ნაკრებთა შეხვედრა დასრულდა.

ქართველები ყველაფრით აღემატებოდნენ ჩვენი ჯგუფის აუტსაიდერ ლუქსემბურგელებს და, რა თქმა უნდა, ყველანი ჩვენების დიდი ანგარიშით გამარჯვებას ველოდით. ასეც მოხდა, ქართველებმა მოწინააღმდეგე არ დაინდეს და 98:65 შეარცხვინეს საკუთარი ქომაგის თვალწინ.

სხვაგვარად როგორ იქნებოდა, როდესაც ერთ მხარეს ნბა-ში გამობრძმედილი და ევროპაში საკმაოდ მაღალ დონეზე მოთამაშე კალათბურთელები დგანან, მეორეზე კი — საშუალოზე დაბალი გაქანების ლუქსემბურგელები, რომლებსაც მხოლოდ ერთი-ორი თუ ჰყავთ ბურთის ჩამგდები.

თამაში თანაბარ ბრძოლაში დაიწყო და დაახლოებით ხუთი წუთის მანძილზე ხან ერთი გუნდი გადიოდა წინ, ხან — მეორე. თუმცა უკვე პირველი პერიოდის მეხუთე წუთიდან მოყოლებული, ქართველმა კალათბურთელებმა აიწყვიტეს და მეტოქეს მცირედი შანსიც აღარ დაუტოვეს.

სტუმრებს ყველაფერი გამოსდიოდათ, ქართველი მოთამაშეები განუწყვეტლივ ბომბავდნენ მოწინააღმდეგის კალათს და ანგარიშს გამუდმებით ზრდიდნენ. ამაში ყველაზე დიდი როლი ტაირონ ელისმა და ვიქტორ სანიკიძემ შეასრულეს, რომლებმაც შესაბამისად 24 და 20 ქულა დააგროვეს. ამასთან ერთად, სანიკიძის ანგარიშზე 12 მოხსნაცაა. ის ერთადერთი კალათბურთელი იყო მოედანზე გასულთა შორის, რომელმაც ორმაგი დუბლი გააზერხა.

ტაირონ ელისზე საერთოდ ცალკე უნდა ითქვას — ამერიკელს შაბათს სროლა გარგად წაუვიდა, ჩააგდო 10-დან 5 სამქულიანი ტყორცნა, ორიანი და საჯარიმო კი ერთიც არ გაუცუდებია. ჯამში ქართველების ანგარიშზე 20-დან გამოყენებული 7 სამქულიანი სროლა იყო. ანუ ელისის გარდა მხოლოდ ანატოლი ბოისამ და ნიკა ცქიტიშვილმა შეძლეს თითო სამიანის ჩაგდება.

ლუქსემბურგელებთან მატჩში საქართველოს ნაკრების სასტარტო ხუთეულის ხუთივე წევრმა შეძლო ათი და მეტი ქულის დაგროვება. ამასთან ერთად შემადგენლობაში მყოფი 12 მოთამაშიდან იგორ კოკოშკოვმა თერთმეტი გამოიყენა და მისცა მოედანზე შესვლის საშუალება, ყველა მათგანმა მოახერხა და თუნდაც ერთი ქულა მაინც შესძინა თავის გუნდს. არ გასულა მხოლოდ ეროვნული ნაკრების დებიუტანტი მიხეილ ბერიშვილი.

სათადარიგოებიდან განსაკუთრებით გიორგი შერმადინი გამოირჩა, რომელმაც 9 წუთში სამიდან სამი ორქულიანი და ორიდან ერთი საჯარიმო გამოიყენა.

და მაინც, მიუხედავად ზემოთ თქმულისა, საქართველოს ნაკრები ნამდვილად არ უნდა წარმოვიდგინოთ უძლეველ და უკვე ჩამოყალიბებულ გუნდად, რადგან შაბათს კოკოშკოვის გუნდმა 33 ქულით მხოლოდ და მხოლოდ ლუქსემბურგის ნაკრებს აჯობა, რომელიც დაბალი დონის გუნდად ითვლება ევროპაში და რაღაც სასწაულით ახერხებს B დივიზიონში ყოფნის გახანგრძლივებას. მასთან ამაზე მცირე სხვაობით მოგება უფრო იქნებოდა საკვირველი.

ახლა მთავარია ჩვენი ნაკრების კალათბურთელებს არ დაემართოთ ქართველებისათვის ჩვეული დაავადება და ზედმეტად არ ირწმუნონ საკუთარი უძლეველობა, რადგან ეს ყოველთვის ყველაზე დამღუპველად მოქმედებს და უარყოფითი შედეგიც მოაქვს.

ამბობენ, საქმის კარგად დაწყება უკვე საქმის ნახევარიაო და იმედია ჩვენს შემთხვევაშიც ასე იქნება. ბოლოს და ბოლოს აღნიშნულ შესარჩევ ციკლში მაინც გადაბარგდება საქართველოს ნაკრები A დივიზიონში, რომელში თამაშიც გაცილებით უფრო შეეფერება ჩვენს შემადგენლობას...

უახლოს ორ კვირაში საქართველოს ნაკრები სტუმრად კიდევ სამ შეხვედრას გამართავს — 10 სექტემბერს ირლანდიასთან, 13 სექტემბერს სლოვაკეთთან და 17 სექტემბერს შვედეთთან. რითიც დასრულდება პირველი წრე და დაგვრჩება იგივე ნაკრებებთან გაისად ამ დროს თბილისში სათამაშო ოთხი შეხვედრა.

შაბათს ჩვენს C ჯგუფში კიდევ ერთი შეხვედრა გაიმართა. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ შვედეთისა და ირლანდიის ნაკრებები და შვედებმა 82:63 იმარჯვეს.

**გიორგი არაგული**

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| საქართველო | 1 | 1 | 0 | 2 |
| შვედეთი | 1 | 1 | 0 | 2 |
| ირლანდია | 1 | 0 | 1 | 1 |
| ლუქსემბურგი | 1 | 0 | 1 | 1 |
| სლოვაკეთი | 0 | 0 | 0 | 0 |



# მეოთხედფინალური ზღვარი

**მაკა ჩახნაშვილმა** საფრანგეთის ქალაქ დენაინში ITF-ის ეგიდით გამართულ 75 ათას დოლარიან ტურნირზე მეოთხედფინალს კი უწია, მაგრამ მეტის გაკეთება ველარ შეძლო. ზედიზედ ორი გამარჯვების შემდეგ მაკა მეოთხედფინალში გერმანელ კრისტიანა ბარუას შეხვდა და დამარცხდა — 5:7, 2:6.

ქართველმა ირაკლი ლაბაძემ უკრაინის ქალაქ ჩერკასში 50-ათასიან ტურნირზე ჩახნაშვილის ბედი გაიზიარა. ანუ ირაკლიც მეოთხედფინალიდან გამოეთიშა შეჯიბრებას. ლაბაძე მეოთხედფინალში ტურნირზე მე-4 ნომრად განთესილ უზბეკ დენის ისტომინთან 4:6 0:3-ს აგებდა, როდესაც მან შეხვედრის გაგრძელებაზე უარი განაცხადა.

ირაკლი ლაბაძემ ამავე ტურნირზე წყვილთა გათამაშებაშიც წააგო. მეოთხედფინალში ლაბაძის და გერმანელი კნიტელის ტანდემმა უკრაინელების — ბუბკასა და სტახოვსკის წყვილთან დათმო შეხვედრა — 3:6 6:4 8:10.

**ზურაბ მიგრიაული**



ირაკლი ლაბაძე



# გეორ-გიამ მალიორკაში პეკინი გაიმეორეს

**ესპანეთში** მალიორკას კუნძულზე პლაჟბურთელთა მსოფლიო ტურის მორიგი ეტაპი გრძელდება, სადაც ჩვენმა გეორ-გიამ 2:1 მოუგეს ავსტრალიელებს, დოპლერსა და გერტმაიერს. სხვათა შორის, მათ ქართველმა ბრაზილიელებმა პეკინის ოლიმპიადაზეც შავი დღე აყარეს და მალიორკაზეც შემოემარცხათ.

გეორ-გიამ ასეთივე ანგარიშით ფრანგებთან — გრესთან და გესთან — წააგეს და ესპანეთიდან აბარგება მოუწევთ.

საქა და რთველო კი ამასობაში პოლონეთში ცდილნენ ძალებს და ერთი წაგებაც ჰქონდათ, რაც საპატიო და ბრძოლის გაგრძელებას საშუალებას აძლევდა, მაგრამ ჩვენებმა კიდევ ერთმა მარცხი იწვნიეს ბერძნებთან — კიტრუმნიდუსთან და ტიორტიანთან 2:1 — და ტურნირს გამოეთიშნენ.

**ნიკა ძოპაძე**

# ორი ცუდი ამბავი
# ტრავმა და უპასუხისმგებლობა



საქართველოს ხელბურთელთა ნაკრების ლიდერი სერგო დათუკაშვილი ზაფხულში გერმანულ ბუნდესლიგას დაემშვიდობა და სლოვენიის „გორენიეს“ მიაშურა. სერგო „ლიუბეკეს“ ლიდერი გახლდათ და ბევრიც ეცადა მთელი სეზონის მანძილზე, რომ გუნდი ბუნდესლიგაში დაეტოვებინა, მაგრამ მაჩანჩალა „ლიუბეკე“ მეორე ბუნდესლიგაში ჩამოქვეითებას ვერ გადაურჩა, რამაც ქართველი ავტომატურად თავისუფალი აგენტი გახადა, რადგან კონტრაქტით დაბალ ლიგაში თამაში არ ეხებოდა. ამის მერე ასევე ბუნდესლიგურ ვარიანტებზე, იმის გამო თქვა უარი, რომ გერმანიაში ლიგაში დასარჩენად მებრძოლი გუნდი მის ამბიციებს ვერ დააკმაყოფილებდა, ამიტომ შედარებით სუსტ ლიგაში წავიდა სათამაშოდ, ოღონდ იმის გარანტიით, რომ იქ ევროთასებზე გამოვიდოდა, რადგან „გორენიე“ სლოვენიური ხელბურთის გრანდია და წლეულს ლიგის ჯგუფშიც მოსინჯა ძალები.

სერგო დათუკაშვილს გუშინ სლოვენიაში შევეხმიანეთ და ორი ცუდი ამბავი გავიგეთ: ერთი, რომ მოსამზადებელ პერიოდში თამაშის დროს ტრავმა მიიღო და ერთი თვე ვერ ითამაშებს. მეორე: ნაკრების ლიდერმა დღემდე არ იცოდა, რომ საქართველოს ხებურთელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე აღარ ითამაშებს. კვირაზე მეტია, რაც ეს ამბავი გახმაურდა და საზოგადოებისთვისაც გახდა ცნობილი, თუმც თურმე ასეც ხდება — შეიძლება ლეგიონერმა, რომელიც უკვე მოახლოებულ თამაშებზე ფიქრობს, არ იცოდეს, რომ ევროპის შესარჩევში აღარ გამოვა.

ქვეყანაში შექმნილი საომარი მდგომარეობის და ფინანსური კრიზისი გამო ნაკრები ევროშესარჩევს გამოტოვებს. მაგრამ ისიც ძნელია, რომ ხელბურთელს ვინმემ ეს ამბავი გააგებინოს? რატომ უნდა იგებდეს ამას ნაკრების ლიდერი ჟურნალისტისგან?..

— თქვენგან მესმის პირველად, რომ აღარ ვითამაშებთ. ჩემთვის არავის არაფერი უთქვამს. ძალიან ცუდი, თუ ასეა. ისედაც კრიზისში მყოფ ქართულ ხელბურთს ეს ამბავი კიდევ უფრო უკან დასწევს. მართალია, ძლიერი ჯგუფი იყო და გასვლა გაგვიჭირდებოდა, მაგრამ ეს არაა მთავარი, უნდა გვეთამაშა. ეს განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობას სჭირდება იმისთვის, რომ კლასი აიმაღლონ. პოლონეთთან და შვედეთთან უნდა გამოიწრთონ, თორემ ლუქსემბურგი ამათთან რა არის?

— ახალ გუნდზე რას გვეტყვი, როგორ შეეწყვე?

— მეგობრული გუნდია, კარგად მიმიღეს, მთავარია, ადამიანი როგორ მოიქცევი და პრობლემა არ შეგექმნება. სამწუხაროდ, ერთი თვე გამიცდება ტრავმის გამო. ისე კი, მოსამზადებელ ეტაპზე უთამაშებელი, მაგრამ კმაყოფილი არ ვარ ჩემი თავით, მთელი ორი თვე გამიცდა და ფორმაში არ ვიყავი.

— კიდევ თუ დაიმატეს ვინმე შენს გარდა?

— ჩემ პოზიციაზე, მარცხენა ინსაიდზე, მოიყვანეს ახალგაზრდა სერბი. დაიმატეს მეკარე, ერთი ხორვატი ოლიმპიური ჩემპიონი, ძალიან გამოცდილი ბიჭი. ასევე კუთხის მოთამაშე. ასე რომ, საკმაოდ გავძლიერდით.

— „გორენიე“ ალბათ მხოლოდ ჩემპიონობაზე იფიქრებს...

— ლიგაზე თამაში უნდათ. აქამდე სლოვენიას ორი საგზური ჰქონდა, ახლა კი საერთაშორისო ფედერაციამ ერთი ჩამოართვა. გამოდის, რომ სხვა გზა არც გვაქვს, ლიგაზე თამაში თუ გვინდა, ჩემპიონები უნდა გავხდეთ.

— ვინ არის თქვენი მთავარი კონკურენტი და საერთოდ, რამდენად ძლიერი ჩემპიონატი აქვთ?

— საშუალო დონის პირველობაა. საკმაოდ კარგი გუნდებია. ძირითადი კონკურენტი კი „კოპერია“ და მათთან მოგვიწევს ომი. სხვათა შორის, ჩემპიონატის პირველ ტურში მაგათ ვხვდებით. შაბათს ტრავმის გამო ვერ ვითამაშებ და კიდევ სამი ხელბურთელი დაგვაკლდება. ექიმები მეუბნებიან, ერთ თვეში ითამაშებო და ვნახოთ...

**ლევან მაისურაძე**

# ჭანტურიამ თურქეთი გაიიოლა



საქართველოს ხელბურთელთა ნაკრებისა და მაკედონიის „მეტალურგის“ ერთ-ერთმა ლიდერმა რევაზ ჭანტურიამ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშა. მისმა „მეტალურგმა“ თურქულ „იზმირს“ სტუმრად 33:29 მოუგო და საქმე მნიშვნელოვნად გაიიოლა. მაკედონიის ჩემპიონი საპასუხო თამაშს 13 სექტემბერს სკოპიეში ჩაატარებს და რა დიდი მარჩიელობა უნდა, რომ ორრაუნდიან დაპირისპირებაში გამარჯვების მეტი შანსი ექნება.

ჭანტურიამ ოდენ ერთი გოლი გაიტანა, მისი გუნდი კი უფრო უკეთ მეორე ტაიმში გაისარჯა. თურქებმა ტაიმი 16:15 მოიგეს, მაგრამ მერე თამაშის სადავეები ხელიდან გაექცათ.

თუ ქართველს გუნდმა საკვალიფიკაციო ეტაპი გადალახა, მაშინ პირდაპირ ჯგუფურ ეტაპზე მოხვდება და C ჯგუფში გერმანულ „კილთან“, ესპანურ „ბარსელონასთან“ და ნორვეგიულ „დრემენთან“ მოუწევს ურთიერთობის გარკვევა. „კილი“ და „ბარსა“ მსოფლიო დონის გრანდები არიან და ქართველს და მის გუნდს ომის გადატანა დასჭირდებათ, მათთან რამე რომ გააწყონ...

**ნიკა ძობაძე**





ლელოელი ვიტო კოლელიშვილი ამაოდ ეცადა ლელოს გატანას

### ყოჩები 22:14 ლელო

**ყოჩები:** დადეშიანი, გეგენავა, მაისურაძე, ადანაია, ინაშვილი, მალაღურაძე, ხელაძე; დგებუაძე, კალმახელიძე, ცხადაძე, არჩუაშვილი, ჩიჩუა, კიკნაველიძე, ნიჟარაძე, ასეიშვილი

შეცვლაზე შევიდნენ: გიორგაძე, ბელაშვილი, გოგიშვილი

1 ლ: არჩუაშვილი; 4 ს: მალაღურაძე; 1 გ: მალაღურაძე; 1 ა: მალაღურაძე

**ლელო:** ყიასაშვილი, ხუციშვილი, თოდუა, კორკელია, ცერცვაძე; ხმალაძე, ჭინჭარაული; კოლელიშვილი, ჩხეიძე, ვაჩეიშვილი, აზალაძე, მენაბდიშვილი, სუჯაშვილი, ცხოვრებაშვილი, ყალიჩავა.

შეცვლაზე შევიდნენ: გოგია, ჯალალონია, მირცხულავა, ჯოგლიძე

1 ლ: ხმალაძე; 3 ს: ყიასაშვილი

### არმაზი 11:19 აკადემია

**არმაზი:** ჩხაიძე, ურჯუკაშვილი, კაიფაჯიანი, თათარაშვილი, ხინთიბიძე; ჯავარაშვილი, მჟავანაძე; ცირეკიძე, ლამბაშიძე, კანდელაკი, ჯვარიძე, ჯიშკარიანი, ქართველიშვილი, სოხელია, ბუკია

შეცვლაზე შევიდნენ: აბაშიძე, ცუცქირიძე, პინაიშვილი, ჯაფარიძე

1 ლ: თათარაშვილი; 1 ა: ჯავარაშვილი; 1 ს: ჯავარაშვილი

**აკადემია:** სუთიძე, ი. დავითაშვილი, ნასიძე, მოლოდინაშვილი, ბატოიანი; ხუხუნეიშვილი, ჩაბრაძე; მურვანიძე, მაღლაკელიძე, ნიბლაძე, გელაძე, ლ. ობოლაძე, დიაკონიძე, ლამბაშიძე, ლომსაძე

შეცვლაზე შევიდნენ: დავითაშვილი, გურგენიძე, ქილაძე, ბარბაქაძე, დ. ობოლაძე

2 ლ: ბატოიანი; 3 ს: ნიბლაძე (2), ხუხუნეიშვილი

### ლოკომოტივი 122:7 დინამო

# გაყოჩებული მდელოზე
## დინამოს ლოკომოტივი დაეჯახა

**გუშინ** რაგბში საქართველოს ჩემპიონატის მეორე წრის პირველი მატჩები გაიმართა. ორი თამაში ავჭალაში, „სინათლის“ სტადიონზე ჩატარდა, ხოლო ერთ შეხვედრას ისანში „შევარდენის“ სტადიონმა უმასპინძლა.

ტურის უდავოდ ცენტრალური თამაში „სინათლეზე“ გაიმართა. ერთმანეთს „ლელო“ და „ყოჩები“ დაუპირისპირდნენ. „ყოჩებმა“ ინერტულად ჩატარებული პირველი წრის შემდეგ შემადგენლობა გააძლიერეს და მათი ერთ-ერთი მთავარი შენაძენი, უფრო ზუსტად კი უკრაინიდან დაბრუნებული ლაშა მალაღურაძე ამინდის შემქნელი აღმოჩნდა გუშინდელ ჯახში.

თამაშმა დაძაბულობა და ინტრიგა თითქმის მთელი ოთხმოცი წუთი შეინარჩუნა. ორივე გუნდს ჰქონდა მოგების შანსი და იმარჯვა უფრო მონდომებულმა და საბრძოლველად შემართულმა.

მატჩი გარდამავალი უპირატესობით დაიწყო. კლუბები ფეხით ტაქტიკურ დარტყმებით უსინჯავდნენ ერთმანევს ფხას. ანგარიში „ლელომ“ გახსნა საჯარიმოთი, მაგრამ მალე „ყოჩების“ უპირატესობა გამოიკვეთა, რასაც ლევან მაისაშვილის დამოძლვრილებმა წესების დარღვევა დაუპირისპირეს. დარღვევები კი ქულებში ნაკრების ათმა ნომერმა ლაშა მალაღურაძემ ასახა. პირველ ნახევარში ლაშამ სამი საჯარიმო გაიტანა. მას მაინცდამაინც არც ასევე მენაკრებე ირაკლი ყიასაშვილი ჩამორჩა, რომელმაც ორჯერ დალაშქრა პირველ ტაიმში მეტოქის კარი.

მეორე ნახევრის დასაწყისში „ლელოთა“ მრავალფაზიან შეტევას შერკინების ძალისხმევით გატანილი ლელო მოჰყვა. ლელო ხმალაძის ანგარიშზე ჩაიწერა. „ყოჩები“ უმალ გამოცოცხლდნენ. მალაღურაძემ ჯარიმა გაიტანა და ისევ დააწინაურა თავისი გუნდი. ანგარიში 12:11 იყო, როცა მალაღურაძემ შორი მანძილიდან და უხერხული პოზიციიდან არეკნის გატანა შეძლო. ამ ყველაფერს „ყოჩებმა“ 39-ე წუთზე არჩუაშვილის ლელო და მალაღურაძის გარდასახვა დაუმატეს და შეიძლება ითქვას, რომ შეხვედრაში გამარჯვებულის ვინაობაც აქ გამოარკვიეს. საპასუხოდ „ლელომ“ ერთი საჯარიმოლა გაიტანა.

„არმაზის“ და „აკადემიას“ შორის დაპირისპირების გმირი აკადემიელი ბატოიანი გამოდგა. მან მეორე ტაიმში ორი ლელო გაიტანა, რითაც ფაქტობრივად გადაწყვიტა მატჩის ბედი. არადა, თავიდან ქინმოჭარბებული არმაზელები 6:0 იგებდნენ. „აკადემიამ“ ნელ-ნელა თამაში დაალაგა, ხელდახელ ბურთაობა გააჩაღა და შედეგმაც არ დააყოვნა.

„შევარდენის“ სტადიონზე კი „ლოკომოტივმა“ მოთამაშეთა მიგრაციით ძალიან დასუსტებული „დინამო“ არ დაინდო და დიდი ანგარიშით გაანადგურა.

დაბოლოს, გეტყვით იმასაც, რომ საქართველოს რაგბის კავშირი შეუერთდა ეკოლოგიური სისუფთავის მხარდასაჭერ მოძრაობას. კავშირი მჭიდროდ თანამშრომლობს ორგანიზაცია „გლობალურ სპორტის ალიანსთან“ ამ იაპონურ ორგანიზაციას მსოფლიოში წამყვანი პოზიციები უკავია ეკოლოგიური სისუფთავის საკითხებში.

**ზურაბ მიგრიაული**

US OPEN 2008. ჰარდი. 25 აგვისტო-7 სექტემბერი. საპრიზო 15 900 000 დოლარი

# ამერიკა ფრუსების ოდ

## ჰანამ აურია, ფედერერმა დაალაგა

**კაცები**

**ნახევარფინალი**

**როჯერ ფედერერი** (2, შვეიცარია) — ნოვაკ ჯოკოვიჩი (3, სერბეთი) 6:3 5:7 7:5 6:2; ენდი მიურეი (6, ბრიტანეთი) — რაფაელ ნადალი (1, ესპანეთი) 6:2 7:6 2:3 (შეწყდა)

**ქალები**

**ნახევარფინალი**

**სერენა უილიამსი** (4, აშშ) — დინარა საფინა (6, რუსეთი) 6:3 6:2; **ელენა იანკოვიჩი** (2, სერბეთი) — ელენა დემენტიევა (5, რუსეთი) 6:4 6:4

**ტროპიკულმა** ქარიშხალმა ჰანამ, რომელიც უკვე რამდენიმე კვირაა, აშშ-ს სამხრეთ შტატებში ბობოქრობს, ამ უქმეებზე ნიუ იორკსაც მიაღწია და წლის ბოლო სლემტურნირის ორგანიზტორებს გვარიანად აუწეწა გეგმები. „დიდ ვაშლი“ გუშინ თქეშმა დაალბო და კაცთა ერთი ნახევარფინალთაგანი შეწყვიტა, რის გამოც ფინალი ორშაბათისთვის გადაიდო — აშშ-ს ღია პირველობაზე ასეთი რამ პირველად ხდება 1987 წლის შემდეგ. შაბათს თავისთავად ვერც ქალთა ფინალის ჩატარება მოხერხდა, რის გამოც ის კვირას, ჩვენი დროით კი ორშაბათს გამთენიისას გაიმართება.

მაგრამ მოდით, მაინც მივუბრუნდეთ კორტზე დატრიალებულ ამბებს, მით უმეტეს, რომ რაც ჩატარდა, ყველა შეხვედრა ერთი-მეორეზე უკეთესი და ლამაზი საცქერი გამოვიდა.

ქალთა ბატალიებში ფინალისტების ვინაობა გაირკვა — სატიტულო მატჩში ერთმანეთს სერენა უილიამსი და ელენა იანკოვიჩი შეხვდებიან. ორივემ რუსები დასამარცხა და ბევრისთვის გასაკვირად საამისოდ ბევრი წვალება არც ერთს არ დასჭირვებია.

ელენა დემენტიევა და დინარა საფინა აუტსაიდერებად ნამდვილად არ მიიჩნეოდნენ, სხვათა თუ არაფერი, ისინი ხომ ახლახანს დასრულებული პეკინის ოლიმპიადის ოქროსა და ვერცხლის მედალოსნები არიან. საფინა კი საერთოდაც მიმდინარე სეზონის ყველაზე სტაბილური მეჩოგნეა და მარტო ის რად ღირს, რომ ბოლო 41 მატჩიდან 37-ში ემარჯვა. სათამაშო ფორმას არც დემენტიევა უჩიოდა — 2004 წლის აშშ-ს ღია პირველობის ფინალისტი წინა შეხვედრებში ძალიან დამაჯერებლად თამაშობდა და ნახევარფინალამდე სეტიც კი არ დაუთმია. ყოველივე ამის ფონზე რუსთა ძალიან უკბილო გამოსვლა საკმაოდ მოულოდნელი აღმოჩნდა.

ამას ერთადერთი ახსნა შეიძლება მოეძებნოს — განსხვავებულ ბუნებრივ პირობებში სათამაშოდ ისინი სრულიად მოუმზადებელნი აღმოჩნდნენ. საქმე ისაა, რომ პარასკევს, როცა ეს ნახევარფინალები გაიმართა, მოახლოებული ქარიშხლის დასტურად ნიო იორკის ცაზე ღრუბლები გაწოლილიყო და გვერდებიდან გვარიანადაც უბერავდა. წესით და რიგით, ყველაფერ ამის გამო ჩოგბურთელებს კორექტივები უნდა შეეტანათ საკუთარ თამაშში, რაც სლავთაგან ვერც ერთმა ვერ იაზრა.

„გავიფიქრე — ქარიანი დღეა, ამიტომ მოდი ჩვეულად აქტიურობის მაგივრად უკანა ხაზზე უფრო დიდ ხანს დავრჩები და შევხედავ რა მოხდება-მეთქი“ — გაამხელს ნამატჩევს სერენა.

ქარის ფაქტორი ვერც დემენტიევამ და ვერც საფინამ ვერ გაითვალისწინეს და არც მათ სამწვრთნელო შტაბში აღმოჩნდა ვინმე ჭკვიანი, ასეთი უბრალო რამ რომ ეკარნახა. შედეგად რუსებმა ჩვეული რიტმით თამაში გადაწყვიტეს და სამაგალითოდაც დაისაჯნენ, რადგანაც ორივემ მნიშვნელოვან წილად საკუთარი სისულელის ხარჯზე წააგეს — დემენტიევამ 42, საფინამ კი 41 უნებლიე შეცდომა დაუშვა და რაღა გასაკვირია ორივე რომ განადგურდა.

სერენამ კი დასთან გადატანილი უმძიმესი ბრძოლის შემდეგ მეფური საჩუქარი მიიღო და ფინალს ზედმეტი დაძაბვის გარეშე უწია. უმცროსი უილიამსი ახლა თავის მეცხრე სლემტიტულს უმიზნებს — „უზომოდ მიხარია, ფინალში რომ ვარ. თან რა ხანია აქ ტიტულისთვის ამერიკელს არ უთამაშია.“

აი, იანკოვიჩისთვის კი ეს ახალი სიმაღლეა. სერბს აქამდე ერთხელაც ვერ მოხერხებინა სლემტურნირის ფინალში გასვლა — არადა, ამის საშუალება არაერთხელ მიეცა, მაგრამ წინა ოთხ შემთხვევაში იღბალმა ზურგი აქცია. თუმც მან მეხუთე ცდიდან მაინც უწია მიზანს და ამან ისე აალევა, რომ ლამის ბავშვივით აქვითინდა — „უკაცრავად ამ ცრემლებისთვის, მაგრამ ფინალში გასვლა ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. თუმც ამით დაკმაყოფილებას ნამდვილად არ ვაპირებ, რადგანაც აქ მხოლოდ მოსაგებად ვარ ჩამოსული.“

ასე რომ, ფინალში არც ერთი აპირებს რაიმეს დათმობას.

არანაკლებ და, შეიძლება უფრო საინტერესოც გამოვიდეს გადამწყვეტი მატჩი კაცთა შორის. მართალია, რაფაელ ნადალმა და ენდი მიურეიმ თავიანთი ნახევარფინალი ვერ დაასრულეს, მაგრამ რომელმაც არ უნდა იმარჯვოს, ნებისმიერის ჯახი როჯერ ფედერერთან მართლაც საოცარ სანახაობად უნდა იქცეს.

დიახ, ჯახი ფედერერთან, რომელმაც უკვე გაინაღდა ფინალის საგზური, უბრწყინვალეს სტილში დაამარცხა რა ნოვაკ ჯოკოვიჩი. შვეიცარიელმა მართლაც უმაღლესი დონის ჩოგბურთი აჩვენა. მოკლედ, გუშინ კორტზე ისევ როჯერ ფედერერი იდგა, ის ფედერერი, რომელიც წლების განმავლობაში ოლიმპზე ასული ღმერთივით ზემოდან დასცქეროდა დანარჩენ საჩოგბურთო სამყაროს.

„იყო მომენტები, როცა საკუთარ თავს ვეუბნებოდი — აი, ეს არის ჩემი ჩვეული თამაში ჰარდზე-მეთქი. ალაგ-ალაგ, მაგრამ დღეს მართლაც იმ დონეზე ვითამაშე, როგორც საჭირო იყო“ — იტყვის ნამატჩევს ფედერერი.

მართლაც, ალპელს მართლაც აქვს საკუთარი თავისთვის დასამტკიცებელი, რომ კვლავ შეუძლია მაგარსაფარზე ძველებურად დომინანტურად თამაში. წლეულს როჯერს პრობლემები ნამდვილად არ აკლია — სხვა თუ არაფერი, ამ სეზონში მის ანგარიშზე მხოლოდ ორი ტურნირია. ასეთი ცუდი წელიწადი შვეიცარიელს ბოლოს 2002 წელს ჰქონდა. თანაც ტიტულებიდან, არც ერთი იყო ჰარდზე, რაც ნათლაც მიუთითებდა იმაზე, რომ ამ საფარზე მას აშკარად პრობლემები გაუჩნდა.

ფედერერს არც ამ აშშ-ს ღია პირველობაზე მისდიოდა ყველაფერი იდეალურად. ამისთვის იგორ ანდრეევთან გამართული ხუთი სეტი და ლუქსემბურგელ ჟილ მიულერთან ჯახირიც მოწმობს, მაგრამ გუშინ კორტზე მაინც ძველი ფედერერი იდგა — ძლიერი და ზუსტი მოწოდებით, ულამაზესი კომბინაციებითა და დარტყმების მრავალფეროვანი არსენალით.

ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჯოკოვიჩი ყურებჩამოყრილი იდგა და წინააღმდეგობის გაწევას არ ცდილობდა. სულაც არა — სერბმაც უმაღლეს დონეზე ითამაშა და მეტოქეს ბლომად თავსატეხიც გაუჩინა. ნოვაკი ყველა ბურთისთვის ბოლომდე იბრძოდა და ისიც ხიბლავდა მაყურებელს ლაზათიანი გათამაშებებით.

მაყურებელი კი მაინც შვეიცარიელის მხარეს იყო — ნაწილობრივ იმიტომ, რომ ბევრს მონატრა ძველი ფედერერის ხილვა, ნაწილობრივ კი იმიტომ, რომ სერბმა წინა შეხვედრაში ადგილობრივთა კერპი ენდი როდიკი დაამამათა. სწორედ ამიტომ ტრიბუნებზე შეკრებილი პუბლიკის დიდი ნაწილი შვეიცარიელს მხურვალედ გულშემატკივრობდა. აკი იტყვის კიდეც ნამატჩევს როჯერი — „ცოტა არ იყოს და, თავს ნიუ იორკელად ვგრძნობ. სიტყვები არ მეყოფა მაყურებელს გამოვლენილი მხარდაჭერისთვის მადლობა რომ გადავუხადო.“

ჯოკოვიჩი კი მაინც ჯიუტად არ აპირებდა დანებებას. მაგრამ ვაი რომ თავს ზემოთ ძალა არ არის, რადგანაც გუშინ ფედერერის დღე იყო. შვეიცარიელს ძალიან, საოცრად, უფრო მეტად უნდოდა და სჭირდებოდა მოგება. მისთვის უფრო მეტი რამ იდო სასწორზე — წაგების შემთხვევაში ალპელი რეიტინგში თავის ახლანდელ, მეორე პოზიციას დაკარგავდა და მესამეზე ჩამოქვეითდებოდა. თანაც როჯერს არ დავიწყებია ვისგან დაიწყო მისი წლევანდელი უსიამოვნებანი — სეზონის სტარტზე ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალში ხომ სერბმა დაჯაბნა. ასე რომ, ყველაფერთან ერთად ეს შურისძიებაც იყო.

„ვიცოდი ამ მატჩის მნიშვნელობა — უკვე კენჭისყრის შემდეგ ვიცოდი, რომ აქ ჩემთვის ბევრი რამ გადაწყდებოდა. ჰოდა, დავამტკიცე, რომ ისევ ბევრი რამ შემიძლია“ — შელოცვასავით იმეორებდა ფედერერი, რომელსაც ახლა თავის მე-13 სლემტიტულამდე ერთი ნაბიჯის გადადმალა აკლია. გარდა ამისა, შვეიცარიელს შეუძლია პირველი ჩოგბურთელი გახდეს 1920-იანი წლების მეჩოგნე ბილ ტილდენის შემდეგ და „ფლეშინგ მედოუზზე“ ზედიზედ მეხუთედ იჩემპიონოს.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ ჯერ კიდევ გასარკვევია თუ ვისთან მოუწევს ალპელს ფინალში შეხვედრა. რაც არ უნდა მოულოდნელი იყოს, ჯერ საამისოდ უკეთესი შანსები ენდი მიურეის აქვს, რომელმაც გუშინ აშკარად აჯობა რაფაელ ნადალს და ბედი ესპანელს, რომ გაწვიმდა. ზეაქტიურმა და აგრესიულმა, მუდმივად გამწავავებაზე დაგეშილმა შოტლანდიელმა თითქმის უშანსოდ დატოვა მსოფლიოს პირველი ჩოგანი. ენდი-ბიჭი ისეთი სიძლიერით უხათქუნებდა ბურთს, რომ ესპანელის თავის რეაქტიული სისწრაფითაც კი თამაშგარეში რჩებოდა. შოტლანდიელის უპირატესობაზე ეს სტატისტიკური მონაცემიც მიუთითებს — მიურეიმ 44 გათამაშება მოიგო საკუთარი აქტიურობის ხარჯზე, მაშინ როცა რაფამ ეს მხოლოდ 19-ჯერ შეძლო.

მეორეს მხრივ კი ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მესამე სეტი უკვე ნადალის უპირატესობით დაიწყო და მან ბრეიკის გაკეთებაც მოასწრო. სწორედ აქ გაწვიმდა და ჩოგბურთელებსაც ამ სტატუს-ქვოს პირობებში მოუწიათ კორტის დატოვება.

**ჰახა ლომაშვილი**



როჯერ ფედერერი



ელენა იანკოვიჩი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ციური საჩუქარი
## წვიმის კაცმა ყინულისას აჯობა



ლუის ჰემილტონი:
წლეულს უკვე მეხუთედ

ბელგიურ „სპა ფრანკოშანში" უაღრესად დრამატული და საოცრად ლამაზი რბოლა გაიმართა, რომელიც იქნებ წლის უმთავრეს სანახაობადაც დარჩეს. განთქმულ არდანის ტყეში ჩამალულ ტრასაზე გუშინ ნამდვილი ტრილერი ვიხილეთ, რომლიდანაც გამარჯვებული საღ-სალამათი ლუის ჰემილტონი გამოვიდა და ამით საერთო ჩათვლაში ლიდერობაც გაიმყარა, თან, სავარაუდოდ, ერთი მეტოქე საბოლოოდ ჩამოიცილა.

სანამ უშუალოდ კვირის პერიპეტიებზე გადავიდოდეთ, ერთი-ორი სიტყვა კვალიფიკაციაზეც უნდა ითქვას. „სპაზე", როგორც ყოველთვის, ახლაც ცვალებადი ამინდი იყო — ხან წვიმდა, ხანაც გამოიდარებდა, რაც გუნდებისგან ტრასის მუდმივ კონტროლსა და შესაფერისი საბურავების ამორჩევას მოითხოვდა. ამ ყველაფერს უკეთ თავი „მაკლარენმა" გაართვა, ჰემილტონმაც ბოლო მომენტში გააუმჯობესა ფელიპე მასას დრო და კვალიფიკაცია მოიგო. 30 კარიერული რბოლიდან ბრიტანელისთვის ეს უკვე მე-11 პოული იყო.

მეორე რიგიც იმავე გუნდების ფინელმა პილოტებმა დაიკავეს — მესამეზე ჰემილტონის თანაგუნდელი ჰეიკო კოვალაინენი იყო, რომლის გვერდზეც მეორე ფერარით კიმი რაიკონენი იდგა.

რაიკონენისთვის ამ რბოლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონს აუცილებლად ესაჭიროებოდა გამარჯვება, რომელიც აპრილის მიწურულის შემდეგ აღარ უგემია. თანაც სად, თუ არა „სპაზე" უნდა შეემცირებინა „ყინულის კაცს" ბრიტანელთან ჩამორჩენა — კიმმა ხომ აქ ბოლო სამი წლის განმავლობაში იგებდა. სხვათა შორის, ბელგიაში ზედიზედ მეოთხედ გამარჯვების შემთხვევაში ფინელი ჯიმ კლარკს გაუტოლდებოდა.

კიმიმ სტარტიდანვე აგრესიულად დაიწყო და თავიდანვე ჩამოიტოვა თანამემამულე კოვალაინენი, შემდეგ არც მასას მოერიდა. მიუხედავად იმისა, რომ ბრაზილიელი მისი თანაგუნდელია, ძალიან სარისკო მანევრი ჩაუტარა და კვალში ჩაუდგა ჰემილტონს. რაიკონენს არც ახლა დასჭირვებია დიდხანს ლოდინი და ბრიტანელს უკვე მეორე წრის დასაწყისშივე გადაუსწრო, გალიდერდა და კარგა ხანს პრობლემის ნასახიც არ შექმნია.

აი, კოვალაინენს კი სტარტზე მართლაც მაგარი ლაფსუსი შეემთხვა, რადგანაც მას, გარდა რაიკონენისა, გადაასწრეს ფერნანდო ალონსომ, ნიკ ჰაიდფელდმა, რობერტ კუბიცამ და... მოკლედ, ყველამ, ვისაც არ დაეზარა და ახალგაზრდა ფინელიც მეოთხედან მე-13 ადგილამდე დაქვეითდა. კოვალაინენი ბევრს კი ეცადა, მაგრამ რბოლის შუაწელზე მარკ ვებერთან შეჯახების გამო სტიურადებმა დააჯარიმეს და ამიტომ მეათეზე მაღლა ვეღარ ავიდა.

რაიკონენი კი დამაჯერებლად ლიდერობდა რბოლას. ასე გაგრძელდა მეორე პიტსტოპამდე, როცა ბოქსებიდან გამოსვლის შემდეგ ჰემილტონი ფინელს თითქოს წამოეწიასავით, მაგრამ კიმის სერიოზულად მაინც ვერ ემუქრებოდა. თითქოსდა საქმე „ფერარის" ტრიუმფისკენ მიდიოდა, მაგრამ რბოლის დასრულებამდე ექვსი წრით ადრე ყველაფერი აირია, როცა ტრასაზე წვიმის პირველი წვეთები დავარდა.

წვიმიანი ამინდი კი ჰემილტონის საუფლოა და მიუხედავად იმისა, რომ ისიც მშრალი ტრასისთვის გათვლილი საბურავებით იყო და წონასწორობის შენარჩუნება საკმაოდ უჭირდა, ფინელს მაინც კუდზე დააჯდა. ამის შემდეგ კი ყველაფერი საოცარი სცენარით წარიმართა — წვიმა გაძლიერდა და ბოლოსწინა წრეზე სტარტ-ფინიშთან ბრიტანელმა გადაუსწრო რაიკონენს. ფინელი კონტრშეტევაზე გადავიდა, რის გამოც ჰემილტონი მოსრიალდა და ბალახზე გადავარდა. კიმი თითქოს ისევ დაწინაურდა, მაგრამ მანქანა ვერც მან შეიკავა და შუა ტრასაზე მოუსრიალდა. ბრიტანელმა ამით ისარგებლა და საბალახო ექსკურსიიდან დაბრუნებულმა ისევ პირველზე გადაინაცვლა. რაიკონენი კვლავ გამოეკიდა ახალგაზრდა მეტოქეს და მერვე მოსახვევში გადასწრებაც სცადა, მაგრამ ზედმეტი მოუვიდა, ტრასიდან გადავარდა და კედელს შეასკდა.

ასე დასრულდა ეს რბოლა რაიკონენისთვის, რომელიც ერთი შეხედვით გარანტირებული მოგების მაგივრად სრულიად უქულოდ დარჩა. შეიძლება ნაადრევიცაა ამის თქმა, მაგრამ ფინელის საჩემპიონო შანსები გუშინ ფაქტობრივად დასამარდა და დიდი შანსია, მას ახლა თანაგუნდელ მასაზე მოუწიოს მუშაობა, რომელმაც გუშინ მეორე ადგილი დაიკავა და მხოლოდ ჰემილტონთან 8 ქულას აგებს.

პოდიუმის ბოლო საფეხური კი ნიკ ჰაიდფელდს ერგო. ეს გერმანელი ამ უქმეებზე ბელგიაში დიდებულად გამოიყურებოდა და ნამდვილად დაიმსახურა მესამე ადგილი — რბოლის ბოლომდე ორი წრით ადრე არ მოერიდა ბოქსებში შესვლას და საწვიმარ საბურავებზე გადასვლას, რამაც გაამართლა და ამის ხარჯზე ზედ ცხვირწინ ააცალა პოდიუმის საფეხური და 6 ქულა ორგზის მსოფლიო ჩემპიონ ფერნანდო ალონსოს.

**კახა ლომაშვილი**


ფორმულა 1-ს წარმოგიდგენთ





## ფორმულა 1. 59-ე მსოფლიოს ჩემპიონატი მეცამეტე ეტაპი

### რბოლის შედეგები

ბელგიის გრან პრი
7 სექტემბერი. სპა ფრანკოშანი (ბელგია)
დისტანცია 44 წრე — 308,176 კმ

| | |
|---|---|
| 1(1). ლუის ჰემილტონი (ბრიტანეთი, „მაკლარენ-მერსედესი") | 1სთ. 22წთ. 44,933წმ |
| 2(2). ფელიპე მასა (ბრაზილია, „ფერარი") | +14,5 |
| 3(5). ნიკ ჰაიდფელდი (გერმანია, „BMW-ზაუბერი") | +23,8 |
| 4(6). ფერნანდო ალონსო (ესპანეთი, „რენო") | +28,9 |
| 5(10). სებასტიან ფეტელი (გერმანია, „ტორო როსო-ფერარი") | +29,1 |
| 6(8). რობერტ კუბიცა (პოლონეთი, „BMW-ზაუბერი") | +29,5 |
| 7(9). სებასტიან ბურდე (საფრანგეთი, „ტორო როსო-ფერარი") | +31,1 |
| 8(13). ტიმო გლოკი (გერმანია, „ტოიოტა") | +56,5 |
| 9(7). მარკ ვებერი (ავსტრალია, „რედ ბული-რენო") | +57,2 |
| 10(3). ჰეიკო კოვალაინენი (ფინეთი, „მაკლარენ-მერსედესი") | +1 წრე |
| 11(14). დევიდ კულტჰარდი (ბრიტანეთი, „რედ ბული-რენო") | +1 წრე |
| 12(15). ნიკო როსბერგი (გერმანია, „უილიამს-ტოიოტა") | +1 წრე |
| 13(18). ადრიან სუტილი (გერმანია, „ფორს ინდია-ფერარი") | +1 წრე |
| 14(19). კაძუკი ნაკაჯიმა (იაპონია, „უილიამს-ტოიოტა") | +1 წრე |
| 15(17). ჯენსონ ბატონი (ბრიტანეთი, „ჰონდა") | +1 წრე |
| 16(11). იარნო ტრული (იტალია, „ტოიოტა") | +1 წრე |
| 17(20). ჯანკარლო ფიზიკელა (იტალია, „ფორს ინდია-ფერარი") | +1 წრე |
| **რბოლას გამოეთიშნენ** | |
| 18(4). კიმი რაიკონენი (ფინეთი, „ფერარი") | გაიარა 42 წრე |
| 19(16). რუბენს ბარიკელო (ბრაზილია, „ჰონდა") | 0 |
| 20(12). ნელსონ პიკე (ბრაზილია, „რენო") | 0 |

*ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი*

| პოული | |
|---|---|
| *ჰემილტონი* | 1წთ 47,338 წმ (საშ. სიჩქარე 197,840 კმ/სთ) |

| საუკეთესო წრე | |
|---|---|
| *რაიკონენი* | 1 წთ 47,930 წმ (საშ. სიჩქარე 198,138 კმ/სთ) |

Formula 1

| | ავსტრალია 16 მარტი | მალაიზია 23 მარტი | ბაჰრეინი 6 აპრილი | ესპანეთი 27 აპრილი | თურქეთი 11 მაისი | მონაკო 25 მაისი | კანადა 8 ივნისი | საფრანგეთი 22 ივნისი | ბრიტანეთი 6 ივლისი | გერმანია 20 ივლისი | უნგრეთი 3 აგვისტო | ევროპა 24 აგვისტო | ბელგია 7 სექტემბერი | იტალია 14 სექტემბერი | სინგაპური 28 სექტემბერი | იაპონია 12 ოქტომბერი | ჩინეთი 19 ოქტომბერი | ბრაზილია 2 ნოემბერი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ჰემილტონი | 10 | 4 | — | 6 | 8 | 10 | — | — | 10 | 10 | 4 | 8 | 10 | | | | | | 80 |
| 2 მასა | — | — | 10 | 8 | 10 | 6 | 4 | 10 | — | 6 | — | 10 | 8 | | | | | | 72 |
| 3 კუბიცა | — | 8 | 6 | 5 | 5 | 8 | 10 | 4 | — | 2 | 1 | 6 | 3 | | | | | | 58 |
| 4 რაიკონენი | 1 | 10 | 8 | 10 | 6 | — | — | 8 | 5 | 3 | 6 | — | — | | | | | | 57 |
| 5 ჰაიდფელდი | 8 | 3 | 5 | — | 4 | — | 8 | — | 8 | 5 | — | — | 6 | | | | | | 47 |
| 6 კოვალაინენი | 4 | 6 | 4 | — | — | 1 | — | 5 | 4 | 4 | 10 | 5 | — | | | | | | 43 |
| 7 ტრული | — | 5 | 3 | 1 | — | — | 3 | 6 | 2 | — | 2 | 4 | — | | | | | | 26 |
| 8 ალონსო | 5 | 1 | — | — | 3 | — | — | 1 | 3 | — | 5 | — | 5 | | | | | | 23 |
| 9 ვებერი | — | 2 | 2 | 4 | 2 | 5 | — | 3 | — | — | — | — | — | | | | | | 18 |
| 10 გლოკი | — | — | — | — | — | — | 5 | — | — | — | 8 | 2 | 1 | | | | | | 16 |
| *პიკე — 13, ფეტელი — 13, ბარიკელო — 11, როსბერგი — 9, ნაკაჯიმა — 8, კულტჰარდი — 6, ბურდე — 4, ბატონი — 3 ქულა* | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 ფერარი | 1 | 10 | 18 | 18 | 16 | 6 | 4 | 18 | 5 | 9 | 6 | 10 | 8 | | | | | | 129 |
| 2 მაკლარენი | 14 | 10 | 4 | 6 | 8 | 11 | — | 5 | 14 | 14 | 14 | 13 | 10 | | | | | | 123 |
| 3 BMW | 8 | 11 | 11 | 5 | 9 | 8 | 18 | 4 | 8 | 7 | 1 | 6 | 9 | | | | | | 105 |
| 4 ტოიოტა | — | 5 | 3 | 1 | — | — | 8 | 6 | 2 | — | 10 | 6 | 1 | | | | | | 42 |
| 5 რენო | 5 | 1 | — | — | 3 | — | — | 3 | 3 | 8 | 8 | — | 5 | | | | | | 36 |
| *რედ ბული — 24, უილიამსი — 17, ტორო როსო — 17, ჰონდა, — 14 ქულა* | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

# დიდები რიგში

## ჰაკიმი, პატრიკი, პატ მასწავლებელი და სხვა




**პარასკევს** მასაჩუსეტსის ქალაქ სპრინგფილდში, ქალაქში, სადაც მე-19 საუკუნის დასალიერს იშვა კალათბურთი, გაიმართა დიდების დარბაზის ახალ წევრთა საზეიმო მიღება. სპრინგფილდი ამ პომპეზურ ღონისძიებას ყოველწლიურად მასპინძლობს და ახლაც დარბაზმა ტრადიციულად ექვს ლეგენდას გაუღო კარი.

ჰაკიმ ოლაჯუონი, პატრიკ იუინგი, ადრიან დენტლი, პატ რაილი, ბილ დევიდსონი და ჩატი რაში — აი, წლევანდელი ექვსეული, რომელთაგან პირველი სამი წლების წინ პენსიაზე გასული კალათბურთელია, მეოთხე მოქმედი მწვრთნელია, მეხუთე კლუბ „დეტროიტის“ მფლობელია, ხოლო მეექვსე ქალთა კალათბურთის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი ფიგურაა.

ყველაზე მქუხარე ტაში, რაღა თქმა უნდა, ოლაჯუონსა და იუინგს ერგოთ, რომლებიც 80-90-იან წლებში სტუდენტურ ლიგასა თუ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში 20 წელი ეჭიდავებოდნენ ერთმანეთს და ლარი-მეჯიქის ეპოქის შემდეგ ერთ-ერთ ყველაზე პრინციპულ მეტოქეებადაც ითვლებოდნენ. ოლაჯუონის და იუინგის ცხოვრება ბევრით ჰგავს ერთმანეთისას და ერთგვარად გადაჯაჭვულიცაა. იუინგი 12 წლისა ჩავიდა იამაიკიდან ამერიკაში, ოლაჯუონი 17-ისა გადაბარგდა ნიგერიიდან შტატებში. სტუდენტობისას უფრო პატრიკი მძლავრობდა. 1984 წელს მისმა ჯორჯთაუნმა უნივერსიტეტთა ფინალში აჯობა ჰაკიმის ჰიუსტონ-უნივერსითის, 10 წლის შემდეგ კი ამ უკანასკნელმა სამაგიერო გადაუხადა და ნბა-ს პლეი ოფის ფინალი უდაძაბულეს ბრძოლაში მოუგო მის „ნიუ იორკს“. იუინგი თავიდანვე გაამერიკელდა და სხვა ლეგენდათა მხარდამხარ ითამაშა პირველ (1992) და მეორე (1996) „დრიმ თიმში“. ოლაჯუონმა კი ახალი სამშობლოს პასპორტის აღება დააგვიანა და მხოლოდ მეორე ჯერზე შეუერთდა ძველ მტერსა და მეგობარს.

ოლაჯუონი ალბათ მაინც ოდნავ უფრო მაღლა დგას, რაკი ორჯერ ჩემპიონიც გამხდარა და ერთხელ სეზონის უძვირფასეს მოთამაშედ დაუსახელებიათ. 213-სანტიმეტრიანი ეშმაკი ნიგერიელი ნბა-ს ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე გონიერ ცენტრად ითვლება. ეკუთვნის დაფარებების ყველა დროის რეკორდი, ნბა-ს ისტორიაში შესრულებული ხუთი ოთხმაგი დუბლიდან ორი მისია.

იუინგის კი ორ ფინალში მოეცარა ხელი და არც უძვირფასესობა შეხვდა მაშინ, როცა ჯორდანის ბატონობის პერიოდში სხვა ყველას (ოლაჯუონს, ბარკლის, რობინსონს, მელოუნს) მოუწია საპატიო რიგმა. თანაც ზუსტად ოლაჯუონის სიმაღლის იუინგი უფრო შლეგი მებრძოლი გახლდათ, ვიდრე ინტელექტუალი, მაგრამ დიდი მოთამაშე რომ იყო, რად უნდა ამას განსჯა.

რომ აჯილდოვებდნენ, ჰაკიმს ჰკითხეს, ერთმანეთის წინააღმდეგ ამდენჯერ გითამაშიათ, ასეთი გაცხოველებით და როგორღა მეგობრობდითო. ამაზე „სიზმარამ“ (ჰაკიმის მეტსახელია) მიუგო — ვინა თქვა, რომ ვმეგობროდით, კალათბურთის დასრულების მერე შევრიგდით, თორემ მოედანზე ერთმანეთს ისეთ რამეებს ვუკეთებდით, მსაჯებს რომ შეენიშნათ, ულაპარაკოდ გაგვყრიდნენო. ამაზე, ცხადია, ყველამ გულიანად იცინა.

დიდების დარბაზის ახალწვეულებიდან უფალი პატ რაილიც გამოვარჩიოთ, ნბა-ს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მწვრთნელი, რომელმაც ხუთჯერ მოიპოვა საჩემპიონო ოქროს ბეჭედი და ხუთივეთი უსაზღვროდ ამაყობს, ხშირადაც იკეთებს თითებზე, თანაც ხუთივეს. 80-იან წლებში მან ოთხჯერ გააჩემპიონა „ლეიკერსი“, სულ ახლახან, 2006-ში კი „მაიამის“ მოაგებინა კლუბის ისტორიაში პირველი ფინალი. ამას გარდა, პატ-მასწავლებელი კიდევ მესამე გუნდსაც მიიყვანდა ტიტულამდე, გზად ოლაჯუონი რომ არ გადაღგომოდა — რაილი სწორედ იმ „ნიუ იორკს“ წვრთნიდა, რომელიც 1994 წელს „სიზმარას“ „ჰიუსტონმა“ 4:3 დაამარცხა.

**ირაკლი ფირცხვილი**

# ძაღლის ნაკბენივით ახსოვდათ

**2008 წლის** პლეი ოფში მოულოდნელად გასული და იქაც კარგად გამოსული „ფილადელფია სიქსერზი“ აგრძელებს შემადგენლობის გაძლიერებას. რამდენიმე კვირის წინ ამ კლუბმა „ლოს ანჯელეს კლიპერსს“ ელტონ ბრენდი გამოსტაცა და დამდეგი სეზონისთვის ლიდერადაც შეუგულა ეს 20-ქულიანი და 10-მოხსნიანი ბულასავით მსხვილი მეფარე. მართალია, ეს კაცი წელიწადში 15 მილიონზე მეტი დაუჯდა, მაგრამ კიდევ შერჩა რამდენიმე მილიონი სათადარიგოთა ძელსკამზე თავისუფალი ადგილების შესავსებად.



გუშინწინ „სიქსერზმა“ აიმატა ვეტერანი ფორვარდი დონიელ მარშალი, რომელიც ნბა-ში 1994 წლიდან თამაშობს და 14 სეზონში ჩატარებულ ათასზე მეტ მატჩში საშუალოდ 11,9 ქულა და 6,8 მოხსნა მოუგროვდა. ბრენდის დარად ისიც მძიმე ფორვარდია, თუმც პერიმეტრზეც არ იბნევა და კარგი სამქულიანები იცის, რეკორდიც კი ეკუთვნის — 2005 წელს რეგულარული ჩემპიონატის რიგით შეხვედრაში 12-ჯერ ივარგა შორი დისტანციიდან და ეს გმირობა სწორედ „სიქსერზის“ წინააღმდეგ ჩაიდინა. ფილადელფიელებს ძაღლის ნაკბენივით ახსოვთ ამ მოთამაშისგან მიძღვნილი „საჩუქარი“ და ალბათ დიდწილად ამის გამოც მიიწვევს ღრმა სიბერეში მყოფი. მარშალი ბოლოს „სიეტლში“ თამაშობდა, რომელმაც ზედ „ოკლაჰომში“ გადასვლის წინ გააგდო.

ბრენდის და მარშალის გარდა „სიქსერზმა“ ამ სეზონთაშორის პერიოდში შეიმატა ქარიმ რაში, როიალ აივი და თეო რეთლიფი (სამივე რიგიანი სათადარიგოა) და შეინარჩუნა ორი საკუთარი თავისუფალი აგენტი — ანდრე იგუდალა და ლუის უილიამსი. ასე რომ, ეს გუნდი სერიოზულად გაემზადა აღმოსავლეთის ელიტაში ადსაზევებლად.



la vuelta'08 — 63-ე ლა ვუელტა ესპანა



# დედის წინ მორბენალი კვიცი მგელი აღმოჩნდა

**მოსაწყენი** ბარის ეტაპების შემდეგ „ვუელტამ“ ხუთშაბათს საკმაოდ საინტერესო ინდივიდუალური რბოლა გადააგორა, რაც რიგით მეექვსე ეტაპი გახლდათ, ერთი დღე დამსახურებულადად დაისვენა და შაბათს პირენეის აღმართებს შეუყვა, სადაც უნდა გამოიკვეთოს მომავალი გამარჯვებულის კონტურები.

მომავლის ამბავს ჯერ ვერ ამოვიცნობთ, ერთი ეტაპი ბუნდოვან კონტურებს აჩენს, ბარბასტროდან ანდორამდე მთებში მცოცავ 223-კილომეტრიან მეშვიდე ეტაპზე კი კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ მრავალდღიანი სუპერტურები სიურპრიზებითაა აღსავსე და გაცილებით მრავალფეროვანი და საინტერესოა, ვიდრე თუნდაც ველორბოლის მამების მიერ ნალოლიავები მსოფლიოს ჩემპიონატი.

28 წლის იტალიელი ალესანდრო ბალანი უფრო სპრინტერული თვისებებით იცნობა, ისიც უფრო ხშირად მოკლე კლასიკურ რბოლებზე ჩნდება ხოლმე, მრავალდღიან ველოტურებზე კი დიდი გამარჯვებებით ვერ დაიკვეხნიდა აქამდე, აწი კი საამაყოდ ექნება ამ საკმაოდ რთული ეტაპის მოგება, რაკი ყველასდა მოულოდნელად ამ სპრინტერმა კაცმა მთებში აასწრო ყველას.

ბალანმა და რამდენიმე უფრო ნაკლებცნობილმა მრბოლმა პელოტონთან დაშორება ადრეულად, 18 კილომეტრის გავლის შემდეგ გადაწყვიტეს და წინ მოუსვეს. რაკი ამ რამდენიმეკაციან ლტოლვითა გუნდში საერთო ჩათვლაში პირველობის პრეტენზიორი არ ერია, კონტადორმა, ვალვერდემ, სასტრემ, ლეიფჰეიმერმა, შვანელმა და სხვებმა მხოლოდ ირონიული მზერა გააყოლეს პელოტონის წინ უდარდელად მორბენალ კვიცებს — ივლიან ერთი-ორი კილომეტრი, დაიღლებიან და ჩავყლაპავთო.

მაგრამ ნურას უკაცრავად. ამ მოლიდერე ჯგუფში ყველა დაიღალა ბალანის ნაცვლად. ფინიშამდე 30 კილომეტრი რომ რჩებოდა, ის უკვე სრულიად მარტო მიქროდა და გაჩერებას არ აპირებდა. ვაჟკაცურად გადაიარა ყველა მთა და აღმართი და უახლოვეს მდევარს 2 წუთი და 42 წამი მოუგო.

ბობოლები კი მიხვდნენ, რომ კაცი გაეპარათ და პედლებს ფეხი დააჭირეს, მაგრამ რაღა დროს. კონტადორმა, ლეიფჰეიმერმა და სასტრემ შეძლეს და სამ წუთზე ნაკლები წააგეს მოულოდნელ გამარჯვებულთან, სხვები კი უფრო მეტად ჩამორჩნენ.

ამ ეტაპის მერე რაღა გასაკვირია და, ლიდერის ოქროსფერი მაისურით ბალანი შეიმოსა, ვინაც საერთო ჩათვლაში ერთ მრგვალ წუთს უგებს ლეიფჰეიმერს. ლიდერი სალვიან შავანელი მესამეზე ჩამოვარდა, ვალვერდემ კი მესამედან მეხუთემდე ჩაინაცვლა.

**ირაკლი ფირცხვილი**

**მე-7 ეტაპი. ბარბასტრო — ანდორა. 223 კმ**

| | |
|---|---|
| 1.ალესანდრო ბალანი (იტალია, „ლამპრე“) | 6 სთ 15 წთ 51 წმ |
| 2. ეზეკილ მასკერა (ესპანეთი, „ხოსება გალისია“) | +2 წთ 42 წმ |
| 3. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „ასტანა“) | +2 წთ 45 წმ |
| 4. ჟაკინ როდრიგესი (ესპანეთი, „კაის დეპარნი“) | +2 წთ 50 წმ |
| 5. ლევი ლეიფჰეიმერი (აშშ, „ასტანა“) | +2 წთ 50 წმ |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. ალესანდრო ბალანი (იტალია, „ლამპრე“) | 23 სთ 53 წთ 26 წმ |
| 2. ლევი ლეიფჰეიმერი (აშშ, „ასტანა“) | +1 წთ |
| 3. სილვიან შავანელი (საფრანგეთი, „კოფიდისი“) | +1 წთ 21 წმ |
| 4. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „ასტანა“) | +1 წთ 34 წმ |
| 5. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, „კაის დეპარნი“) | +2 წთ 26 წმ |
| 6. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) | +2 წთ 27 წმ |

ოქროს ლიგა. მეხუთე ეტაპი. ბრიუსელი

# არანორმალურზე უარესი ბოლტი

## ტკბილი მილიონისა და მწარე ცრემლების ამბავი

**ბედი მქონიაო,** პამელა ჯელიმომ უნდა თქვას, ვინც ოქროს ლიგის მეხუთე ეტაპიც მოიგო და ჯეკ პოტიც მას შეხვდა. არა, ამ 18 წლის კენიელ გოგონას ნიჭს არავის უკარგავს, უდავოდ საუკეთესოა 800 მეტრზე სირბილში, მაგრამ [illegible] წელს ბევრით [illegible] კიდეც.

ოლიმპიადის წინ ჯელიმოს რამდენიმე რუსი კონკურენტი დოპინგ-სკანდალში გაეხვა და კენიელი გამარჯვების პირდაპირ მარტოდმარტო აღმოჩნდა პეკინში — კიდეც მივიდა და აიღო მისი მომლოდინე ოქროს მედალი.

კიდევ უფრო დიდი გამართლება იყო ოქროს ლიგაზე სხვათა მარცხები. ამ ექვსტურნირიან კომერციულ სერიას ხომ მძლეოსნობაში უდიდესი საცდური აქვს — ექვსივე ეტაპის მომგები დამატებით მილიონს ლებულობს. თუ ექვსი ვერავინ მოიგო, მაშინ ხუთის მომგებს ხვდება ეს მრგვალი თანხა. ხოლო თუ ერთბაშად რამდენიმე პრეტენდენტიაა, მაშინ მილიონიც მათ შორის იყოფა.

ჯელიმო კი ჩანდა ამ ჯეკ პოტში წილის დამდები, მას ხომ პრაქტიკულად ჯერ არც წაუგია, მაგრამ მის კვალად ლიგის მილიონისკენ მიზანმიმართულად მიიწევდა გაცილებით გამოცდილი ბლანკა ვლასიჩიც, ხორვატი სიმაღლეზე მხტომელი, რომელმაც წინა ოთხი ეტაპი დამაჯერებლად გამოიარა და ისე ჩანდა, დარჩენილი ორის მოგებაშიც ვერავინ შეუშლიდა ხელს, მაგრამ საწყალმა ხორვატმა რამდენადაც კარგად დაიწყო წელი, იმდენად მწარე გამოუვიდა კენწერო.



ქალს ზედიზედ 30-ზე მეტი ტურნირი მოეგო და მაინცდამაინც პეკინის ოლიმპიადაზე დამარცხდა ბელგიელ ტია ელებუსთან. ახლა კი ლიგაზეც ხელი მოეცარა და ასე შეხვდა პამელა ჯელიმოს დაგეგმილი ნახევრის მაგივრად სრული მრგვალი მილიონი, რომელშიც ვერავინ შეეცილება და რომლის ჩეკიც ყველაფრის დამთავრების შემდეგ იააფ-ის შეფმა ლამონ დიაკმა გადასცა.

ბრიუსელში ჯელიმომ თავისი წილი 800 მეტრი 1.55,16 შედეგით რომ მოიგო და კარგა სამი წამით მიასწრო მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონს, თანამემამულე ჯანეტ ჯეფკოსკეის, მან ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ რამდენიმე წუთში მილიონერი გახდებოდა, თუმც თავისი იღბლის შემყურე იქნებ გრძნობდა კიდეც ვლასიჩის მარცხს?

ვლასიჩმა ჯელიმოს შემდეგ დაასრულა თავისი გამოსვლა და, შეიძლება ითქვას, რომ მას ასე უსუსურად ორი წელია, არ უხტუნავია — მხოლოდ მეორე ცდით აიღო მისთვის ჩვეულებრივ უიოლესად დასაძლევი 1,97 მეტრი. მერე 2,00 სიმაღლეს კი გაუმკლავდა პირველივე ჯერზე, მაგრამ ამაზე მაღლა ვეფარ აფრინდა და გამარჯვებულიც 2,00-მეტროსანთა შორის გაირჩა, რომელიც აღმოჩნდა... ვინმე არიან ფრეიდრიხი, სრულიად უცნობი გერმანელი, ვისაც თურმე 1,97 პირველივე ცდაზე აუღია და ამით მოუგო საცოდავ ბლანკა ვლასიჩს, ვისაც დიდრონი თვალები ცრემლმა დაუნამა.

„ჩემი ტექნიკა თითქოს სადღაც ოთახში დამრჩა. ისე ნუ გამიგებთ, თითქოს ფულის დაკარგვა მწყინს. ძალიან დამღალა ამ სეზონმა და ძალა აღარ მეყო" — ამბობდა ვლასიჩი უილაჯლოთ და მისი მარცხის ახსნა სწორედ მის სიტყვებშია — იმდენ უსარგებლო ტურნირზე გავიდა წლეულს, რომ აშკარად გადაიქანცა და შინაგანი საწვავი ქველაზე [illegible] უთავდა.

ბრიუსელში სხვა ბევრი მოხდა საინტერესო. სადაც უსაინ ბოლტი და ასაფა პაუელი ერთმანეთს ეჯიბრებიან, იქ ინტერესის ზღვა დგას. წესით, ამ იამაიკურ დუეტში მესამე სუპერსპრინტერი, ამერიკელი ტაისონ გაიც უნდა გარეულიყო და ამის გამო ორგანიზატორებმა ერთი ამბავი ატეხეს, გარბენს საუკუნისაც კი უწოდეს, მაგრამ გაის ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი და ისევ ორი იამაიკელი შერჩა ერთმანეთს.

ჰქროდა საგრძნობი პირქარი, რაშიც ელვა-ბოლტის მხრიდან ახალი რეკორდი თავიდანვე გამორიცხა. მაგრამ უსწრაფესი იამაიკელის ამ გამოსვლის ერთგვარი რეკორდის გარეშე მაინც არ ჩაუვლია. 22 წლის ბოლტმა 9,77 შედეგი აჩვენა პაუელთან დრამატულ შეჯიბრში (თავის მხრივ, პაუელიც კარგი იყო 9,83 წამით) და ყველა დროის მეექვსე შედეგი დააფიქსირა. მაგრამ საქმე ისაა, რომ ასეთ უარყოფით ქარში (-1,3 მეტრი წამში) ბოლტის შედეგთან მიახლოებულიც კი არავის უჩვენებია. 1992 წლის ბარსელონას ოლიმპიადაზე ლეროი ბარელმა 9,97-ში რომ ირბინა, არანორმალური უწოდეს და მაშ, ბოლტი და თუნდ პაუელი რაღა ეპითეტს იმსახურებენ?

**ირაკლი ფირცხალი**

სარბიელი და კროკო

წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | იტალია. სერია B<br>8 სექტემბერი | | | | | | |
| 22:45 | 514 | ვიჩენცა-ემპოლი | 3.20 | 2.90 | 2.25 | 1.52 | 1.32 | 1.26 |
| | | იტალია. სერია C1/A<br>8 სექტემბერი | | | | | | |
| 22:45 | 527 | ვერონა-სპალი | 1.85 | 2.80 | 4.50 | 1.11 | 1.31 | 1.72 |
| | | შვედეთი. სუპერეტა<br>8 სექტემბერი | | | | | | |
| 21:00 | 381 | იონკოპინგი-ჰეკენი | 3.50 | 3.30 | 1.90 | 1.69 | 1.23 | 1.20 |
| 21:00 | 382 | ატვიდაბერგი-ფალკენბერგი | 1.90 | 3.30 | 3.75 | 1.20 | 1.26 | 1.75 |
| | | ირლანდია. პრემიერ დივიზიონი<br>8 სექტემბერი | | | | | | |
| 22:45 | 528 | კორკი-დერი | 2.30 | 3.00 | 2.90 | 1.30 | 1.28 | 1.47 |
| 22:45 | 529 | ბოჰემიანი-სტ პატრიკსი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| | | მჩ. შესარჩევი მატჩები<br>10 სექტემბერი | | | | | | |
| 19:00 | 47 | რუსეთი-უელსი | 1.40 | 4.10 | 7.90 | 1.04 | 1.18 | 2.69 |
| 20:00 | 48 | აზერბაიჯანი-ლიხტენშტეინი | 1.35 | 4.00 | 9.50 | 1.00 | 1.18 | 2.81 |
| 20:30 | 49 | ფარერები-რუმინეთი | 25.00 | 10.00 | 1.05 | 7.14 | 1.00 | 1.00 |
| 21:00 | 51 | ანდორა-ბელარუსი | 12.00 | 5.60 | 1.17 | 3.81 | 1.06 | 1.00 |
| 22:30 | 64 | სან მარინო-პოლონეთი | 30.00 | 12.00 | 1.01 | 8.57 | 1.00 | 1.00 |
| 22:30 | 66 | მაკედონია-ჰოლანდია | 7.70 | 4.00 | 1.40 | 2.63 | 1.18 | 1.03 |
| 22:30 | 68 | ისლანდია-შოტლანდია | 4.10 | 3.20 | 1.85 | 1.79 | 1.27 | 1.17 |
| 22:45 | 69 | ჩრდ ირლანდია-ჩეხეთი | 4.20 | 3.20 | 1.80 | 1.81 | 1.25 | 1.15 |
| 22:45 | 70 | სლოვენია-სლოვაკეთი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 22:45 | 71 | ალბანეთი-მალტა | 1.40 | 4.00 | 7.60 | 1.03 | 1.18 | 2.62 |
| 22:45 | 72 | ხორვატია-ინგლისი | 2.40 | 3.10 | 2.80 | 1.35 | 1.29 | 1.47 |
| 21:00 | 73 | საფრანგეთი-სერბეთი | 1.50 | 3.60 | 7.00 | 1.05 | 1.23 | 2.37 |
| 23:45 | 74 | პორტუგალია-დანია | 1.65 | 3.30 | 5.35 | 1.10 | 1.26 | 2.04 |
| 23:45 | 75 | ესპანეთი-სომხეთი | 1.10 | 7.80 | 18.00 | 1.00 | 1.03 | 5.44 |
| 04:00 | 531 | პარაგვაი-ვენესუელა | 1.40 | 4.00 | 7.50 | 1.03 | 1.17 | 2.60 |
| 04:10 | 538 | აშშ-ტრინიდადი და ტობაგო | 1.30 | 4.50 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 3.00 |
| 23:30 | 544 | სურინამი-სალვადორი | 1.65 | 3.40 | 5.00 | 1.11 | 1.24 | 2.02 |
| 16:00 | 548 | ჩრდ კორეა-სამ კორეა | 2.45 | 3.20 | 2.50 | 1.38 | 1.23 | 1.40 |
| 19:30 | 549 | უზბეკეთი-ავსტრალია | 2.45 | 3.00 | 2.50 | 1.34 | 1.23 | 1.36 |
| 22:15 | 550 | საამიროები-ს არაბეთი | 2.55 | 3.20 | 2.50 | 1.41 | 1.26 | 1.40 |
| 23:00 | 551 | ყატარი-ბაჰრეინი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| | | 11 სექტემბერი | | | | | | |
| 02:40 | 530 | ჩილე-კოლუმბია | 1.70 | 3.30 | 4.20 | 1.12 | 1.21 | 1.84 |
| 00:40 | 533 | ურუგვაი-ეკვადორი | 1.50 | 3.40 | 6.25 | 1.04 | 1.20 | 2.20 |
| 04:50 | 534 | ბრაზილია-ბოლივია | 1.10 | 7.50 | 18.00 | 1.00 | 1.03 | 5.29 |
| 06:30 | 536 | პერუ-არგენტინა | 6.30 | 3.70 | 1.50 | 2.33 | 1.21 | 1.06 |
| 05:00 | 540 | მექსიკა-კანადა | 1.35 | 4.30 | 8.00 | 1.02 | 1.15 | 2.79 |
| 05:30 | 542 | ჰონდურასი-იამაიკა | 1.70 | 3.40 | 4.50 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| 06:00 | 543 | გვატემალა-კუბა | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 01:55 | 545 | პაიტი-კოსტა რიკა | 3.00 | 3.20 | 2.20 | 1.54 | 1.26 | 1.30 |
| 02:00 | 547 | ჩადი-სუდანი | 4.50 | 3.40 | 1.65 | 1.93 | 1.20 | 1.11 |
| | | ჰოკეი. ჩეხეთი<br>9 სექტემბერი | | | | | | |
| 19:00 | 506 | ვიტკოვიცე-ბოლესლავი | 1.60 | 4.10 | 3.60 | 1.15 | 1.10 | 1.91 |
| 19:30 | 507 | პლზენი-ზლინი | 1.60 | 4.20 | 3.80 | 1.15 | 1.12 | 1.99 |
| 19:30 | 509 | ბუდეიოვიცე-სლავია | 1.90 | 4.00 | 2.70 | 1.28 | 1.11 | 1.61 |
| 19:30 | 510 | ზნოიმო-ტრჟინეცი | 2.05 | 4.10 | 2.60 | 1.36 | 1.14 | 1.59 |
| 20:00 | 511 | კარლოვი ვარი-პარდუბიცე | 2.05 | 4.10 | 2.50 | 1.36 | 1.12 | 1.55 |
| 20:30 | 512 | ლიბერეცი-კლადნო | 1.50 | 4.40 | 4.20 | 1.11 | 1.10 | 2.14 |
| | | ჰოკეი. სლოვაკეთი<br>9 სექტემბერი | | | | | | |
| 19:00 | 600 | კეჟმაროკი-მარტინი | 2.50 | 4.00 | 1.65 | 1.53 | 1.00 | 1.16 |
| 19:00 | 601 | სკალიცა-მიკულაში | 1.30 | 5.00 | 6.00 | 1.03 | 1.06 | 2.72 |
| 18:00 | 602 | ტრენჩინი-კოშიცე | 2.70 | 4.00 | 1.90 | 1.61 | 1.11 | 1.28 |
| 19:00 | 603 | ნიტრა-ბისტრიცა | 1.50 | 4.40 | 4.00 | 1.11 | 1.09 | 2.09 |
| 19:00 | 604 | ზვოლენი-ჟილინა | 1.65 | 4.10 | 3.60 | 1.17 | 1.13 | 1.91 |
| 19:00 | 605 | სლოვაკეთი 20-პოპრადი | 9.00 | 6.00 | 1.20 | 3.59 | 1.05 | 1.00 |

შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე



# მოროს ღამურობა აღარ სურს

**ფერნანდო მორიენტესი,** როგორც ჩანს, „ვალენსიაში“ თავს კარგად ვერ გრძნობს და აცხადებს, რომ „ღამურების“ შემადგენლობაში ეს მისი უკანასკნელი სეზონი იქნება. 32 წლის ფეხბურთელი ხვდება, რომ შესანიშნავ ფორმაში მყოფ დავიდ ვალიასა და დავიდ სილვას დიდ კონკურენციას ვერ გაუწევს: „თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ეს სეზონი „ვალენსიაში“ ჩემთვის უკანასკნელი იქნება და შევეცდები, ისე გამოვიდე, როგორც კლუბის ინტერესები მოითხოვს. ვხედები, როგორი მდგომარეობაა შექმნილი: დავიდ ვილია და დავიდ სილვა ესპანეთში ფორვარდების საუკეთესო დუეტია, ამიტომაც მე ისევ სათადარიგოს როლი უნდა შევასრულო. მიუხედავად ამისა, როდესაც ამის შანსი მომეცემა, შევეცდები, საუკეთესო ფეხბურთი ვაჩვენო“.

„ელ მოროს“ ზაფხულში თურქული „გალათასარაი“ ეპატიჟებოდა.

კლუბებს შორის ტრანსფერის პირობები უკვე მოგვარებული იყო, მაგრამ თურქებმა თვითონ ფერნანდოსთან შეთანხმება ვერ შეძლეს.

„გალათასარაის“ წინადადება როგორც „ვალენსიასთვის“, ისე ჩემთვისაც ძალიან მომგებიანი იყო. მაგრამ როდესაც მათგან გარკვეული გარანტიები მოვითხოვე, თურქებმა მათი წარდგენა ვერ შეძლეს. მესმის, რომ 32 წლის ასაკში წელიწადში 3-4 მილიონი ევროს მიღება ცუდი სრულებითაც არ არის, თუმცა გადამწყვეტი მაინც ჩემი ოჯახის პოზიცია აღმოჩნდა, რომელმაც ესპანეთის დატოვება არ ისურვა“ — აღნიშნა ფეხბურთელმა.

**არჩილ ძოგახიძე**

# მანჩინის ვესტ ჰემისთვის არ სცხელა

**3 სექტემბერს** ალან კერბიშლი „ვესტ ჰემის“ მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან გადადგა და აგერ, უკვე ოთხი დღეა, ლონდონური კლუბის ხელმძღვანელობა მის შემცვლელს ეძებს.



აქამდე „ჩაქუჩების“ დამრიგებლობაზე პრეტენდენტთა სიაში მილანის „ინტერის“ ყოფილი თავკაცი რობერტო მანჩინიც სახელდებოდა, თუმცა იტალიელი სპეციალისტის აგენტის ჯორჯო დე ჯორჯისის განცხადებით, ეს ვარიანტი გამორიცხულია, რადგან მისი კლიენტი „ნერაძურისთან“ თავისი პრობლემების მოგვარებით არის დაკავებული, რაც საკმაო ხანს გასტანს.

„სანამ „ინტერთან“ საკონტრაქტო დავა არ გადაწყდება, მანჩინი არცერთ კლუბთან მოლაპარაკების დაწყებას არ აპირებს“ — აღნიშნა ჯორჯომ. შეგახსენებთ: მანჩინი „ინტერის“ ხელმძღვანელობასთან კონტრაქტის გაწყვეტის გამო საკომპენსაციო თანხაზე ვერ თანხმდება.

ასე რომ, ბრიტანული საინფორმაციო საშუალებების ცნობით, „ვესტ ჰემის“ მწვრთნელობის მთავარ კანდიდატებად „ლივერპულის“ ყოფილი დამრიგებელი ჟერარ ულიე, წარსულში „ჩელსის“ ფორვარდი ჯანფრანკო ძოლა და იტალიის ნაკრების ასევე ყოფილი თავკაცი რობერტო დონადონი განიხილებიან.

**არჩილ ძოგახიძე**

# ფლამინი ლიგაზე არ დარდობს

**ამ ზაფხულს** ლონდონის „არსენალი“ რამდენიმე ნიჭიერმა ფეხბურთელმა დატოვა, რომელთა შორის აღსანიშნავია საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველი მატიე ფლამინი, ვინც იტალიურ „მილანში“ ჩაირიცხა. ამ სეზონში „როსონერი“ ჩემპიონთა ლიგის მიღმა დარჩა, მაგრამ ფრანგი ასეთ სახელოვან გუნდში გადასვლით მაინც ბედნიერია: „ნამდვილად არ განვიცდი, რომ „მილანში“ გადმოსვლაზე დავთანხმდი. ამ არჩევანით სრულიად კმაყოფილი ვარ. აქ ჩემი შესაძლებლობების სჯერათ და მეც შევეცდები, მათ იმედები გავუმართლო. ვფიქრობ, რომ უეფას თასის მოგება შეგვიძლია — თქვა 24 წლის ფლამინიმ — ჩემპიონთა ლიგის ამ გათამაშებაში კი ჩემს ორ ყოფილ კლუბს ვუგულშემატკივრებ — „მარსელს“ და „არსენალს“. მჯერა, რომ „მეთოფეები“ მაღალ შედეგებს აჩვენებენ.



გარდა ფრანგი ნახევარმცველისა, სატრანსფერო ფანჯრის დროს ლონდონელთა რიგები ჯასტინ ჰოიტმა, ჟილბერტუ სილვამ, ალექსანდრ გლებმა, იენს ლემანმა და ფილიპ სენდეროსმა დატოვეს.

**არჩილ ძოგახიძე**

## ლოპესი გაჩაქუჩდა

**ლონდონის** „ვესტ ჰემმა“ ურუგვაელი მცველი ვალტერ ლოპესი დაიმატა. 22 წლის ფეხბურთელი ადრე „რივერ პლეიტში“ გამოდიოდა, „ჩაქუჩების“ რიგებში კი თავისუფალი აგენტის სტატუსით ჩაირიცხა. ასე რომ, ლოპესი ამ სეზონში ლონდონური კლუბის მეხუთე ახალწვეული გახდა ვალონ ბეჰრამის, ბალინტ ბაუნერის, იან ლამტუვკასა და გეორგ გრესერის შემდეგ.

## სორინი კვლავ კრუზეიროში

**არგენტინელი** მცველი ხუან პაბლო სორინი ბრაზილიური „კრუზეიროს“ შემადგენლობაში უკვე მეორედ დაბრუნდა. ფეხბურთელს 2000-2002 და 2004 წლებში ამ კლუბში გამოსვლის სიამოვნება უკვე ჰქონდა. სორინი სხვადასხვა დროს „იუვენტუსში“, „ლაციოში“, „ბარსელონასა“ და „პსჟ“-ში თამაშობდა, ბოლოს კი გერმანული „ჰამბურგის“ ღირსებას იცავდა. არგენტინელი ბრაზილიაში წლის ბოლომდე დარჩება, შეთანხმების ფინანსური მხარე კი გასაიდუმლოებულია.

## სახო ქაისერისფორს გააცდენს

**ფრანგული** პსჟ-ს მცველმა მამადუ სახომ საზარდულზე ორი ოპერაცია გადაიტანა და, ექიმების თქმით, მოედანზე მხოლოდ ექვს კვირაში შეძლებს დაბრუნებას. ასე რომ, 18 წლის ფეხბურთელი დედაქალაქელებს უეფას თასზე „ქაისერისფორთან“ შეხვედრებში ვერ დაეხმარება.

## ჯეფერსონი და ორლანდო

**გელზენკირხენის** „შალკეს“ ახალწვეულები ჯეფერსონ ფარფანი და ორლანდო ენგელაარი ტრავმების მოშუშების შემდეგ გუნდთან ერთად ვარჯიშს შეუდგნენ. ორივე ფეხბურთელს სამი კვირით მოუხდა დასვენება და, გავრცელებული ინფორმაციით, ისინი მოედანზე 13 სექტემბერს „დორტმუნდთან“ შეხვედრაში გამოჩნდებიან. ამავე მატჩისთვის ჯერმეინ ჯონსის მომჯობინებასაც ელიან, რომელიც კოჭის ტკივილის გამო ჯერჯერობით გუნდთან ერთად ვერ ვარჯიშობს.

## შუსტერს პოდოლსკი მოუნდა

**მადრიდის** „რეალი“ მიუნხენის „ბაიერნის“ თავდამსხმელით ლუკაშ პოდოლსკით დაინტერესდა. განსაკუთრებით მადრიდელთა დამრიგებელი ბერნდ შუსტერი აქტიურობს, რომელიც ამ ზაფხულს „სამეფო კლუბის“ სატრანსფერო პოლიტიკით ერთობ უკმაყოფილო დარჩა. „რეალის“ ხელმძღვანელობამ რობინიო „მანჩესტერ სიტიში“ გაუშვა და ამავდროულად კრიშტიანუ რონალდუს და დავიდ ვილიას შეძენა ვერ მოახერხა. ასე რომ, პოდოლსკის კანდიდატურა საკმაოდ რეალურად გამოიყურება, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ფეხბურთელი ბავარიული კლუბის ძირითად შემადგენლობაში კვლავ იშვიათად ჩნდება.

## ოზათის გარეშე

გერმანული „კიოლნის“ კაპიტანი უმით ოზათი ბუნდესლიგის უახლოესი ტურის მატჩს გამოტოვებს, რომელშიც „თხები“ მიუნხენის „ბაიერნს“ ხვდებიან. თურქი ფეხბურთელი 19 აგვისტოს „ჰანოვერთან“ გამართული შეხვედრის 26-ე წუთზე უეცრად ბალახზე დაეცა და მოედნიდან მხოლოდ ექიმების დახმარებით შეძლო გასვლა. ამ ინციდენტის მიზეზი ზუსტად ცნობილი არ არის. ამჟამად ფეხბურთელი ჰანოვერის საავადმყოფოში იმყოფება.

## მეოთხე მადიარი ენფილდზე

**ინგლისურმა** „ლივერპულმა“ უკვე მეოთხე უნგრელი ფეხბურთელი დაიმატა. მტკ-ს ნახევარმცველი ჟოლტ პოლოშკეი ამ სეზონს მერსისაიდელთა რიგებში იჯარის წესით გაატარებს. მანამდე „წითლების“ შემადგენლობაში პეტერ გულიაში, კრისტიან ნემეტი და ანდრაშ სიმონი ჩაირიცხნენ.

## ჟობი ყატარში გაუშვეს

**კამერუნელი** ფეხბურთელი ჟოზეფ-დეზირე ჟობი ყატარულ „ალ ჰარაიათში“ გადავიდა. 30 წლის ფორვარდის ტრანსფერის ღირებულება არ სახელდება. ჟობი „ნიცაში“ გასულ წელს ჩაირიცხა, მაგრამ ამ სეზონში ხმელთაშუაზღვისპირელთა თავკაცის ფრედერიკ ანტონეტის სამომავლო გეგმებში ვერ ჩაჯდა.

## პრაშნიკარი რჩება

**კოტბუსის** „ენერგის“ მთავარი მწვრთნელი ბოიან პრაშნიკარი თანამდებობას მიუხედავად იმისა შეინარჩუნებს, რომ მისმა კლუბმა ბუნდესლიგის პირველ სამ ტურში მხოლოდ ერთი ქულა მოიპოვა. „ამას ყოველდღე ვიმეორებ: ბოიანი კლუბის სათავეში დარჩება იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბუნდესლიგიდან გავვარდებით — განაცხადა „ენერგის“ პრეზიდენტმა ულრიხ ლეპშმა — ვფიქრობ, რომ პრობლემა ფეხბურთელების მენტალიტეტშია. ტაქტიკა აქ არაფერშუაშია“.

## ჟანომ გააგრძელა

**ფრანგული** „სენტ ეტიენის“ გოლკიპერმა ჟერემი ჟანომ კლუბთან კონტრაქტი გააგრძელა. ახალი ხელშეკრულების ვადა 2011 წლამდეა, რის შემდეგაც 30 წლის მეკარე „მწვანეების“ სამწვრთნელო შტაბში შევა.

**არჩილ ძოგახიძე**

## მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

# პორტუგალიამ მეხუთე ოთხით მოიგო

I ჯგუფი

**უნგრეთი 0:0 დანია**

უნგრეთი: ბაბოში, ბოდნარი, ვანჩაკი, იუჰაში, შელესი, ლადოჯი, დარდაი, გერა, ჰაინალი, ჯუჯაკი (ტორგელე 46), ჰუსტი
მწვრთნელი: ერვინ კუმანი
დანია: ანდერსენი, ლაურსენი, აგერი, კრისტოფერ პოულსენი, იაკობსენი, კრისტიან პოულსენი, დ. იენსენი, ვინგარდი (ბორინგი 61), ტომასონი (რეტოვი 68), რომედალი, ბენდტნერი (ნიგაარდი 87)
მწვრთნელი: მორტენ ოლსენი
გაფრთხილება: ჯუჯაკი, ტორგელე, გერა, ბაბოში, ლაურსენი, დ. იენსენი, კრისტიან პოულსენი
მსაჯი: ჰამერი (ლუქსემბურგი)

**მალტა 0:4 პორტუგალია**

0:1 საიდი (24ს.კ.), 0:2 ალმეიდა (61), 0:3 სიმაო (71), 0:4 ნანი (79)
მალტა: აბერი, საიდი, დიმეკი, ბრიფა, აგიუსი (ფენეჩი 80), სამუტი, პეისი, ბახადა, მიფსუდი, ვუდსი (მალია 58), სკერი (ბარბარა 70)
მწვრთნელი: დუშან ჰიტცელი
პორტუგალია: კიმი, ბოსინგვა, პეპე, კარვალიუ, ანტუნეში, მეირელეში, კარლუშ მარტინში (მანიშე 63), დეკუ, ნანი, სიმაო (მუტინიუ 75), ალმეიდა (ნუნუ გომეში 67)
მწვრთნელი: კარლოშ კეირუში
მსაჯი: ბლუმი (ჰოლანდია)

**ალბანეთი 0:0 შვედეთი**

ალბანეთი: ბეგაი, კური, ვანგელი, დაუკუ, კანა, ბაკაი, ლალა, ჰიკა, დური, შკელა (კაპლანი 83), სალიჰი (ბერიშა 76)
მწვრთნელი: არი ჰაანი
შვედეთი: ისაკსონი, ნილსონი, მელბერგი, მაისტოროვიჩი, ჰანსონი, ვენდტი (სტოორი 77), ლინდეროტი (ს. ლარსონი 5), ანდერსონი, კალსტრიომი (ჰოლმენი 83), იბრაჰიმოვიჩი, ლარსონი
მწვრთნელი: ლარს ლაგერბაკი
მსაჯი: მალენკო (ესპანეთი)

**არაერთი** მომენტის მიუხედავად, პორტუგალიელებმა პირველ ტაიმში ვერ გაიტანეს და მათი საკეთებელი მალტელმა მცველმა ბრაიან საიდმა იკისრა. ჟოზე ბოსინგვას ჩაწოდებული ბურთის მოგერიება სცდა და საკუთარ კარში გოლი გამოუვიდა.

შესვენების შემდეგ სტუმრება ნახეს, რომ საიდი თავის კარში მეორის გატანას არ აპირებდა და საქმეს თვითონ შეუდგნენ.

საჯარიმოში მარცხნიდან შესულმა უგუ ალმეიდამ ცაციით შორ კუთხეში შეაგდო. სიმაუ საბროსამ მეკარის მოგერიებულს ორი მეტრიდან დაამატა და სხვაობა სამამდე გაზარდა, ხოლო ნანიმ მშვიდად გაავლო ბურთი მის შესახვედრად გამოსულ მეკარეს და მონატრებული მალაყი გააკეთა, რასაც „მანჩესტერში" ალექს ფერგიუსონი უკრძალავს.


ნანიმ მალტელთა განადგურებას წერტილი დაუსვა

ეს იყო კარლუშ კეირუშის სადებიუტო ოფიციალური მატჩი, ხოლო პორტუგალია მალტას მეხუთედ შეხვდა და ყველა მოუგო.

ჰენრიკ ლარსონმა მე-100 სანაკრებო მატჩში კაპიტნის სამკლავური მოირგო, მაგრამ მისმა გუნდმა ალბანეთში ვერ მოიგო.

კრისტიან ვილჰელმსონის, ანდრეას სვენსონისა და იოჰან ელმანდერის გარეშე მოთამაშე შვედებს მეხუთე წუთზე ტობიას ლინდეროტიც დუშავდათ, რამაც მწვრთნელს გეგმა აურია.

ალბანელებმა პირველ ტაიმში ორჯერ დაარტყეს და ორჯერვე მეკარემ იყოჩაღა, სტუმართაგან კი ზლატან იბრაჰიმოვიჩმა ხარიხას გაარტყა. 32-წუთზე და მეორე ნახევრის დასწყისში ჰენრიკ ლარსონმა მომენტები ვერ გამოიყენა.

მასპინძელთა ჰოლანდიელმა მწვრთნელმა არი ჰაანმა განაცხადა: „სადაც მიმუშავია, არცერთ ნაკრებში სადებიუტო მატჩი არ წამიგია და ამ ტრადიციას ვაგრძელებ. ჩემმა ფეხბურთელებმა ტაქტიკურად გამართულად ითამაშეს და შვედებს გასაქანი არ მისცეს. ფრე დავიმსახურეთ და ქულით კმაყოფილი ვარ".

ბუდაპეშტში კი უნგრეთი — დანია მოსაწყენი და უინტერესო გამოდგა. ნიკლას ბენდტნერის დარტყმული ძელს მოხვდა, ხოლო საბოლოც ჰუსტიმ მეტოქეს უკან პასი ჩაუჭრა, მაგრამ მეკარეს ვერ აჯობა. მეორე ტაიმში ერთადერთი მომენტი ზოლტან გერას ჰქონდა, ვინც ახლოდან კარს ააცილა.

**გაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 3 |
| შვედეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| დანია | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| უნგრეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ალბანეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| მალტა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | 0 |

**10 სექტემბერი**
**შვედეთი — უნგრეთი**
**პორტუგალია — დანია**
**ალბანეთი — მალტა**

# სიცხემ ჰიცფელდს გაუთანაბრა

II ჯგუფი

**მოლდოვა 1:2 ლატვია**

0:1 კარლსონი (8), 0:2 ასტაფიევი (22), 1:2 ალექსეევი (76)
მოლდოვა: კალანჩა, ეპურიანო, ლაშენკოვი, გოლოვატენკო, რებეჟა, კორნენკოვი, ანდრონიკი (ალექსეევი 61), ბორდიიანი, სუვოროვი (ციგირვაში 68), ფრუნზე, პიკუშჩაკი
მწვრთნელი: იგორ დობროვოლსკი
ლატვია: ვანინი, სტეპანოვი, ასტაფიევი, გორკსი, ვაიზანსი, კლიავა, კასანოვი (ზირნისი 90), სოლონიცინი, ვერპაკოვსკისი (რუბინი 75), პერეპლეტკინი (მეზეცკისი 83), კარლსონი
მწვრთნელი: ალექსანდრ სტარკოვსი
გაფრთხილება: ლაშენკოვი, გოლოვატენკო, კლიავა, ლაიზანსი
მსაჯი: კორტინი (ჩრდ. ირლანდია)

**ისრაელი 2:2 შვეიცარია**

0:1 იაკინი (45), 0:2 ნკუფო (56), 1:2 ბენაიუნი (73), 2:2 საჰარი (90)
ისრაელი: ავატე, კოზოკინი, ბენჰაიმი, სტროლი, ზივი, კოენი, კაიალი (ონაიონი 62), ტოამა, ბენაიუნი, გოლანი (ბარდა 65), კოლაუტი (ბენ საჰარი 46)
მწვრთნელი: დრორ კაშტანი
შვეიცარია: ბენალიო, ლიხშტაინერი, გრიხტინგი, ჯურუ, მანინი, ბეჰრამი (შპიხერი 87), ჰუგელი, ინლერი, ბარნეტა (ფონლანტენი 71), იაკინი (აბდი 75), ნკუფო
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
გაფრთხილება: გოლანი, კოენი, ჰუგელი
მსაჯი: ჰანსონი (შვედეთი)

**ლუქსემბურგი 0:3 საბერძნეთი**

0:1 ტოროსიდისი (36), 0:2 გეკასი (45), 0:3 ხარისტეასი (77პ)
ლუქსემბურგი: ჟუბერი, კინციგერი, ჰაიალი, ჰოფმანი, პეტერსი, სტრაასერი, ბეტნერი, ლიუეკი (და მოტა 58), ლომბარდელი (ლანგი 68), მუტში, კიტენგე (ფერეირა 81)
მწვრთნელი: გაი ჰელერსი
საბერძნეთი: ხალკიასი, სეიტარიდისი, ტოროსიდისი, კირიაკოსი, დელასი, ბასინასი (სალპინგიდისი 46), კაცურანისი, ლიბეროპულოსი (პაცაცოღლა 66), ხარისტიასი, კარაგუნისი, გეკასი (სპიროპულოსი 81)
მწვრთნელი: ოტო რეჰაგელი
გაფრთხილება: ლიუეკი, ლომბარდერი, კიტენგე, ჰოფმანი, სტრასერი, ლანგი, კაცურანისი
მსაჯი: ჰერმანსენი (დანია)

**ოტმარ ჰიცფელდს** სანაკრებო კარიერის მოგებით დასაწყებად რამდენიმე წამი დააკლდა.

აქამდე მხოლოდ კლუბებში მომუშავე გერმანელმა მწვრთნელმა ამ ზაფხულს შვეიცარიის ნაკრები ჩაიბარა და შაბათს ისრაელში დებიუტი ჰქონდა.

ისრაელი შინ ტრადიციულად ძლიერად თამაშობს და რამდენიმე წელია, არ დამარცხებულა. ჰიცფელდის შვეიცარიამ ტრადიციის დარღვევა სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა.

ჰაქან იაქინმა პირველი ტაიმის მიწურულს 25 მეტრიდან საჯარიმო დარტყმით მეკარე უშანსოდ დატოვა. ბურთი ხარიხისგან კარში ჩაეშვა.

მეორე ნახევრის დასაწყისში იაქინმა კიდევ ერთხელ შეასრულა სტანდარტული და ამჯერად მის ჩაწოდებულს თავი საგოლედ ბლეზ ნკუფომ შეუშვირა.

ამის მერე კი გამოცოცხლდნენ მასპინძლები და შეცვლაზე შესულმა ბენ საჰარმა ისრაელს ქულა გადაურჩინა. მისი პასით იოსი ბენაიუნმა სხვაობა შეამცირა, ხოლო ბოლო წუთზე მეკარემ სტუმართა საჯარიმოში ჩააგდო ბურთი, სადაც მოშე ოჰაიონმა თავით დაუგდო საჰარს და 2:2.

„ამ გუნდს უტეხი სული აქვს და არასოდეს ნებდება, თუნდაც ორბურთიანი სხვაობით აგებდეს" — შეაქო დრორ კაშტანმა ფეხბურთელები.

ოტმარ ჰიცფელდი კი უკმაყოფილო დარჩა: „ძალიან სამწუხაროა, რომ უპირატესობა ვერ შევინარჩუნეთ. მეტოქეს ერთი საათის განმავლობაში ვჯობნიდით, მერე კი მოედნის ცენტრი დავუთმეთ და ამით ისარგებლეს. ასეთი სიცხის 90 წუთის განმავლობაში გაძლება ძნელია".

ბოლო ოთხ წელიწადში პირველად, მოლდოვამ კიშინიოვის ნაცვლად ტირასპოლში ითამაშა და სამასპინძლო ადგილის შეცვლამ ვერ არგო. ლატვიელებმა ოცდაორ წუთში ორი გოლი შეაგდეს, მერე კი ნაცად ხერხს მიმართეს — დაცვაში ჩადგნენ და სამი ქულა წაიღეს.

სოლონიცინმა ფლანგიდან ჩააწოდა და კარსონსმა ერთ შეხებაში გაიტანა. ვერპაკოვსკისის საჯარიმო დარტყმა მეკარემ მოიგერია, მაგრამ ასტაფიევსმა დამატებაზე მცველებს დაასწრო — 0:2.

მეორე ნახევარში მოლდოველებმ უფრო მეტს უტევდნენ და შეცვლაზე შესულმა ალექსეევმა სხვაობა შეამცირა.

საბერძნეთის ნაკრებმა ლუქსემბურგში იოლად მოიგო. სტუმრებმა სამი თავდამსხმელით დაიწყეს თამაში, გოლი კი მარცხენა მცველმა ვასილის ტოროსიდისმა თავით შეაგდო.

ტაიმის ბოლოს მეკარესთან პირისპირ გასულ გეკასს გატანა არ გასჭირვებია და შესვენების შემდეგ, მისი წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ანგელოს ხარისტეასმა გამოიყენა.

**გაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| ლატვია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ისრაელი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| შვეიცარია | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| მოლდოვა | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ლუქსემბურგი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

**10 სექტემბერი**
**ლატვია — საბერძნეთი**
**შვეიცარია — ლუქსემბურგი**
**მოლდოვა — ისრაელი**

# უკმაყოფილო ბეენჰაკერი

III ჯგუფი

**პოლონეთი 1:1 სლოვენია**

1:0 ჟევლაკოვი (17პ), 1:1 დედიჩი (35)
პოლონეთი: ფაბიანსკი, ვასილევსკი, ბოსაცკი (იოპი 58), ჟევლაკოვი, კოვალჩიკი, მურავსკი (ბანდროვსკი 46), ლევანდოვსკი, კრჟინოვეკი, გერეირო, ბლაშჩიკოვსკი, პიშჩეკი
მწვრთნელი: ლეო ბეენჰაკერი
სლოვენია: ჰანდანოვიჩი, ბრეჩკო, შულერი, სეზარი, ილიჩი, შიშიჩი, კომაჩი, კორენი, კირმი (ბირსა 72), დედიჩი, ნოვაკოვიჩი
მწვრთნელი: მატიას კეკი
გაფრთხილება: კოვალჩიკი, დედიჩი, კორენი, კომაჩი
მსაჯი: იაკობსენი (ისლანდია)

**სლოვაკეთი 2:1 ჩრდ. ირლანდია**

1:0 შკრტელი (47), 2:0 ჰამშიკი (70), 2:1 დურიცა (81ს.კ.)
სლოვაკეთი: სენეცკი, დურიცა, შკრტელი, პეკარიკი, პეტრაში, კარჰანი (ზაბავნიკი 74), კოზაკი, ჰამშიკი, საპარა, იაკუბკო (სვენტო 59), ვიტეკი
მწვრთნელი: ვლადიმირ ვაისი
ჩრდ. ირლანდია: ტეილორი, ბერდი (შილსი 78), ჰიუზი, კრეიგანი, მაკარტნი, ევანსი, დევისი, გილესპი (ფინი 53), კლინგენი, პატერსონი (გრანტი 66), ჰილი
მწვრთნელი: ნაიჯელ უორტინგტონი
გაფრთხილება: ჰამშიკი, გილესპი, ევანსი
მსაჯი: ივანოვი (რუსეთი)

**პოლონელთა** მწვრთნელმა ლეო ბეენჰაკერმა ევროპის ჩემპიონატის შემდეგ გუნდი გადაახალისა. სლოვენიასთან ძირითად შემადგენლობაში ფორვარდი ლუკაშ პიშჩეკი ათამაშა და პოლონეთის სპორტული მედია ამ გადაწყვეტილებით გააკვირვა. პიშჩეკმა თავი ვერაფრით გამოიჩინა, ისევე, როგორც მისმა თანაგუნდელებმა.

„ჩემი ნაკრების თამაშით, განსაკუთრებით მეორე ტაიმში, და მატჩის შედეგით ძალიან უკმაყოფილო ვარ" — განცხადა ბეენჰაკერმა, ხოლო იაკუბ ბლაშჩიკოვსკიმ თქვა: „ეს ფრე წაგების ტოლია".

იაცეკ კრჟინოვეკის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი მიხალ ჟევლაკოვმა გამოიყენა, მაგრამ ზლატკო დედიჩმა მალევე გაათანაბრა — ათი მეტრიდან გაიტანა.

მეორე ტაიმში დედიჩს დუბლის გაფორმება შეეზლო, თუმც მისი დარტყმული ბურთი კარის ხაზიდან ვასილევსკიმ გამოიტანა.

პოლონელთაგან საუკეთესო მომენტი ბლაშჩიკოვსკიმ დაღუპა, როცა ხელსაყრელ ეპიზოდში მეკარეს „დაუმიზნა".

სლოვაკებმა ორი ჩრდილოირლანდიელებს გაუტანეს და ერთიც საკუთარ კარში შეაგდეს, ხოლო სტუმართა მწვრთნელმა ნაიჯელ უორთინგტონმა აღნიშნა: „მეორე გოლი ჩვენს კარში უდისციპლინობის შედეგია. მცველები მსაჯისგან კუთხურის დანიშვნას ელოდნენ და მეტოქემ ყურადღების მოდუნება არ გვაპატია".

მასპინძლებმა ანგარიში მეორე ტაიმის დასწყისში გახსნეს. კარისკენ ზურგშექცეულმა მარტინ შკრტელმა თავით კოხტა გოლი გაიტანა. მეკარემ გატოკებაც ვერ მოასწრო.

მარტინ ჰამშიკმა მცველების დაუდევრობით ისარგებლა და ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთი ახლოდან ბადეში შეაგდო, ხოლო დურიცამ, როცა მშვიდად შეეძლო ბურთის მიღება, რატომღაც კუთხურზე მოგერიება სცადა და საკუთარ კარში ჩაჭრა.

**გაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლოვაკეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| პოლონეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| სლოვენია | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ჩეხეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| სან მარინო | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ჩრდ. ირლანდია | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |

**10 სექტემბერი**
**სლოვენია — სლოვაკეთი**
**ჩრდ. ირლანდია — ჩეხეთი**
**სან მარინო — პოლონეთი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

## პოდოლსკის ნაირსახეობა



